ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ხუთშაბათი, 24 აპრილი 1997 №46 (411) ფასი 40 თეთრი

დილმის ბაზაზე ყველაზე მყუდრო ყიფიანის კაბინეტია, იქ ზაფხულშიც კი გრილა, მაგრამ ამ ინგლისისწინა ციებ-ცხელების გამო ყიფიანის კაბინეტში საშინელი ხვატი დგას და დღითიდღე მატულობს კიდეც. გუშინ, შუადღისას, ნაკრების მთავარი მწვრთნელი ოთხ ტრაბზონელ ლეგიონერთან ერთად ფეხბურთის ფედერაციაში იმყოფებოდა ნოდარ ახალკაცთან შესახვედრად, იქიდან ფეხბურთელები „ადიდასის" ბუცებით დაბრუნდნენ. ამის მერე, ზუსტად ოთხ საათზე, ყიფიანმა სავარჯიშოდ უხმო ოთხ ტრაბზონელს, შელიას და ჩიხრაძეს. „დინამო" ცალკე ვარჯიშობდა, რადგან გორის „დილასთან" ჩემპიონატის მატჩისთვის ემზადებოდა. ყიფიანის თქმით, „დილასთან" ნაკრების წევრი ყველა დინამოელი ითამაშებს. „დინამოსა" და ნაკრების მთავარ მწვრთნელს ვარჯიშამდე ვესაუბრე.

## უემბლიმდე 6 დღე დარჩა



## გერმანული ბუცებით ინგლისის წინააღმდეგ

**— ქართველ ალანიელთა ამბავი როგორ მოგვარდა?**

— გაზაევმა მითხრა, რომ ცხადაძე მოსკოვის „ლოკომოტივთან" ითამაშებს. კახისთან კონფლიქტი მოგვარებულია, გუნდსაც უთხოვია ამის თაობაზე. რაც შეეხება შელიას, აქ საქმე ცოტა რთულადაა. რაც გაზაევმა მითხრა, ცოტა უცნაურად ჟღერს: შელიასთან კონფლიქტის საბაბი თურმე... მურთაზის ხშირი ტრავმები ყოფილა. გასაკვირია, განა მურთაზი იმ ტრავმებს გუნდის ინტერესებისთვის ბრძოლაში არ იღებს?! მოკლედ, შელია ფორმალურად ტრანსფერზე კი არის, მაგრამ მაინც მგონია, რომ გაზაევი ამ საკითხს გადახედავს. ისე, ლიტველი პოდერისიც გაუშვა და არ აბრუნებს. მიზეზი გასაგებია, პოდერისი მას არ სჭირდება. შელიას დაკარგვა კი „ალანიასთვის" ეგრე ადვილი არაა, ჰოდა, გაზაევიც ალბათ ამიტომ მოტრიალდა.

თავად მურთაზი მეოთხე დღეა აქ ვარჯიშობს და ნაკრების ექიმის დიმიტრი ზაალიშვილის თქმით, ტრავმის მოშუშების საქმე კარგად მისდის.

**— სხვა ყველა ჯანმრთელადაა?**

— აქ ჩამოსული ლეგიონერები და ნაკრების წევრი დინამოელები თავს ჯანმრთელად გრძნობენ. ლეგიონერებისა სხვა დარდი მაქვს, ზოგი ოთხ ფრონტზე იბრძოდა, ზოგმაც ახლა დაიწყო ჩემპიონატი. დიდ ყურადღებას მივაქცევ ლეგიონერებთან ინდივიდუალურ მუშაობას...

**— ინგლისში ვარჯიშის გეგმები ხომ არ შეგიცვლიათ?**

— არა, ყოველ დღე, დილაობით, სასტუმროს მახლობლად ვივარჯიშებთ, 18 საათზე კი ჩვენგან ოციოდ წუთის სავალზე მდებარე ლონდონის მეორე ლიგის ერთ-ერთ კლუბის მინდორზე. 29 აპრილს, 20 საათზე კი „უემბლიზე" შევდგამთ ფეხს.

**— პირდაპირ ლონდონში რომელი ლეგიონერები ჩავლენ?**

— ქინქლაძე, ყაველაშვილი, გოგრიჭიანი და ქეცბაია. დანარჩენები რუსეთიდან ხვალ აქ ჩამოვლენ.

## ვისაც უემბლიზე შეეშინდეს...



მურთაზ შელიას გაზაევთან კონფლიქტის დეტალების დაზუსტება ვთხოვეთ.

— ვისაც „უემბლიზე" თამაშის ეშინია, იმის... ფეხი აღარ მტკივა და, რომც მტკიოდეს, მაინც ვითამაშებ „უემბლიზე". ამ მატჩს შეუძლია ძირფესვიანად შეცვალოს ჩემი კარიერა. გითხარით, კიდეც ჯერ ჩემი სიტყვა არ მითქვამს-მეთქი და ამაზე კარგ ასპარეზს სად ვნახავ?

რა დიდი მწვრთნელიც უნდა იყოს გაზაევი, არ შევეხვეწები. მე ვთვლი, რომ შესახვეწი არაფერი მჭირს. იმათი ექიმის გამოისობით ფეხის თითი ვერ მოვირჩინე, გაბზარული მქონია და, არაფერი გჭირსო, მითხრეს. იმ ავადსახსენებელი ტრავმის გარდა, „ბალტიკასთან" რომ დავშავდი, ეს თითიც მაწუხებდა. ახლა ორივე მირჩება და კიდევ ვიმეორებ, „უემბლისთვის" მზად ვარ. გაზაევი კი, ჩემი აზრით, წაგებებმა გადარია და განტევების ვაცს ეძებს...

**ლეგიონერებთან ერთად მუჯირმა და ასათიანმა კვადრატი გააჩაღეს. ყიფიანმა დინამოელები რომ გაუშვა, კარში ჭანტურია ჩააყენა და სტანდარტული თუ არასტანდარტული სიტუაციებიდან ლეგიონერებს „გაალახვინა"...**

**ნაკრების წევრებთან ინტერვიუები იხილეთ მეორე გვერდზე**

**ჩემპიონთა ლიგა**
**საპასუხო ნახევარფინალები**

CHAMPIONS LEAGUE

# წუხელ მანჩესტერი ღმერთმა დაიფარა

## ფინალი: დორტმუნდი — იუვენტუსი

### მანჩესტერი 0:1 დორტმუნდი

**მანჩესტერი:** შმაიხელი, გ. ნევილი, პალისტერი, მეი (სქოულზი 89), ფ. ნევილი, იონსენი, ბათი, ბექჰემი, კანტონა, კოული, სოლსკიაერი (გიგზი 57)

**დორტმუნდი:** კლოსი, როიტერი (ტრეზოკი 24), ფაიერზინგერი, კოლერი, ჰაინრიხი, ლამბერტი, კრეე, რიდლე (ცორკი 63), მიოლერი, შაპუიზა, რიკენი

**გოლი:** რიკენი (8)

**გაფრთხილება:** კოული, ლამბერტი, ფ. ნევილი, ტრეზოკი

ეტყობა, განგებამ ინება, „იუნაიტედის" ფინალში არგასვლა. შეიძლება დაიფარა კიდეც, რადგან ლამის 40 წლის შემდეგ კვლავ მოუწევდა იმ დაწყევლილ მიუნხენში ჩასვლა, სადაც 1958 წელს მატ ბასბის „მანჩესტერ იუნაიტედი" დაიღუპა. საოცარია, რომ ამ ხნის მანძილზე „იუნაიტედს" წილისყრაც არიდებდა გერმანელ მეტოქეს. მიუნხენის ტრაგედიის შემდეგ „დორტმუნდი" მესამე გუნდი იყო.

მანჩესტერელთა ოცნებას, როგორმე ჩემპიონთა თასს დაუფლებოდნენ, ასრულება არ ეწერა. წუხელ „ოლდ ტრაფორდის" სტადიონზე იმდენი საგოლე მომენტი შექმნეს და დამამთავრებელ ფაზაში ისე უხეიროდ ირჯებოდნენ, ამათი შემყურე სხვას ვერას იფიქრებდა კაცი. იღბალი აშკარად გერმანელთა მხარეს იყო. თუმცა, ყველაფრის მასპინძელ ფორვარდებზე გადაბრალება უნამუსობა იქნებოდა. „დორტმუნდმა" სწორედ ისე ითამაშა, საბოლოო ჯამში გამარჯვებას რომ მოუტანდა. მთელი 90 წუთის განმავლობაში გერმანელები ისე ჭკვიანურად და, რაც მთავარია, ისე მონდომებით თამაშობდნენ, ნამდვილად იყვნენ ფინალში გასვლის ღირსნი.

**ზურაბ მეძველია მანჩესტერიდან**

არადა, მასპინძლები ისე ეკვეთნენ სტუმრებს, გეგონებოდათ, ორი გოლი რაა, ფინალში გასასვლელად რომ ჰყოფნიდათ, ორ ამდენს კიდევ გაიტანდნენო, მაგრამ გერმანელები სასტარტო მღელვარებას სულაც არ შეუშინებია და მე-8 წუთზე რიკენმა მოილერის გონივრული პასით შმაიხელი ხახამშრალი დატოვა. ამის შემდეგ მანჩესტერელთა უპირატესობა იმდენად აშკარა იყო, მართლაც ალალი იქნებოდა ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ გერმანელები რის გერმანელები არიან, ტყუილად ვინმეს რამე აჩუქონ. ბევრჯერ კი შეეძლოთ კოულს, კანტონას, ბექჰემს და პალისტერს გოლის შეგდება, მაგრამ დორტმუნდელთა ვეტერანმა მცველმა იურგენ კოლერმა ორჯერ ისეთი ბურთი გამოაძრო, უფრო სასწაულს წააგავდა. ერთი-ორჯერ მასპინძლები პენალტის დანიშვნასაც ითხოვდნენ მსაჯისგან, თუმცა საბაბი არც ყოფილა. „დორტმუნდს", ფაქტობრივად, მხოლოდ ერთხელ ჰქონდა გოლის გატანის ასპროცენტიანი შანსი, მაგრამ მეკარესთან დარჩენილმა შაპუიზა-ტრეზოკფაიერზინგერის ტრიომ შმაიხელს ვარაფერი მოუხერხა.

პრესლოჟაში მეტ ვარსკვლავს მოეყარა თავი, ვიდრე მინდორზე. ინგლისური ტელეკომპანიისთვის კომენტარი ჰოდლსა და ვენეიბლზს ენებებინათ, ავსტრიულისთვის ჰანსი მიულერს, ფრანგულისთვის „ოსერის" მწვრთნელ გი რუს. აქვე იყვნენ ბრუკინგი, ეუსებიო და ფოგთსი. ყოფილი საბჭოეთიდან კი პრესის ერთადერთი წარმომადგენელი მე აღმოვჩნდი.

### იუვენტუსი 4:1 აიაქსი

**იუვენტუსი:** პერუცი, ფერარა, მონტერო, ტაკინარდი, ჟულიანო, ლომბარდო, დეშამპი, ზიდანი (კონტე 83), დი ლივიო, ვიერი (ამორუზო 68), ბოკშიჩი

**აიაქსი:** ვან დერ სარი, მელხიოტი, ბლინდი, ფ. დე ბური, ვიჩხე (მარიანო 83), სხოლტენი (მუსამპა 56), ოვერმარსი, ბოგარდი, ბაბანგიდა, რ. დე ბური, ლიტმანენი

**გოლი:** ლომბარდო (34), ვიერი (36), მელხიოტი (75), ამორუზო (79), ზიდანი (81)

„აიაქსი" სწრაფ გოლს ელტვოდა. ამიტომაც იყო, პირველ ათ წუთში საგანგებოდ რომ მოინდომა და ორი მეტად სახიფათო მომენტი შექმნა. ორივე შეტევა ამსტერდამელებმა მარჯვენა ფრთიდან განავითარეს, მაგრამ პერუცის კარი ვერ დალაშქრეს. „იუვენტუსი" მისთვის უსიამოვნო დასაწყისმა ბუნებრივია არ დააბნია, გონება და ძალა მოიკრიბა, მეტოქის საჯარიმოს ორიოდ ეპიზოდში თვალი შეავლო და 34-ე წუთზე გოლიც გაიტანა: ზიდანის მიერ კუთხურიდან ჩაწოდებული ლომბარდომ თავით ვან დერ სარის კარში შეაგდო. ორი წუთის წემდეგ იმავე ლომბარდომ მარცხნიდან საჯარიმოში ჩააწოდა, სადაც ვიერიმ მცველს აჯობა და იმ ფეხით, რომელიც თითქოს საყრდენად უნდა გამოეყენებინა, ანგარიში გაზარდა. ტაიმის ბოლო წამზე პერუციმ აიაქსელებს საოცარი რეაქციით აუღო თაური.

კარების შეცვლის შემდეგ გოლების გატანა ისევ ტურინელებმა განაგრძეს, თუმცა საქმეში არბიტრი ჩაერია და ბოკშიჩს თამაშგარედან შეგდებული არ ჩაუთვალა. თამაშის დამთავრებამდე თხუთმეტი წუთით ადრე კი სტუმრებმა თავისი ქნეს, კუთხური მელხიოტმა თაურ გოლში გადაზარდა, თუმცა „იუვენტუსმა" ოთხი წუთი დაიცადა და ერთერთი კომბინაცია ზიდან-ამორუზოს ოსტატური ენდშპილით დაასრულა. კიდევ ორი წუთის შემდეგ დეშამპის პასი ზიდანმა ჩინებულად დაამუშავა, ვიჩხე და ვან დერ სარი ერთმანეთს შეაჯახა, თავად კი დაუცველ კარში შეაგდო.

## წაგებულ ოლიმპიაში სტეფანია საუკეთესო იყო

გუშინწინ საკალათბურთო ევროლიგის „ოთხთა ფინალის" ნახევარფინალში, „ოლიმპიაკოსის" წინააღმდეგ თამაში ვლადიმერ სტეფანიამ სასტარტო ხუთეულში დაიწყო. ვოვამ 30 წუთი დაჰყო მოედანზე და 12 ქულა, 10 მოხსნა და 3 პასი გააკეთა. ქართველი ლეგიონერი ამ სამივე მაჩვენებლით საუკეთესო იყო თანაგუნდელებში. სტატისტიკას თავი რომ დავანებოთ, ექსპერტებმა სტეფანია სლოვენთა შორის საუკეთესოდ აღიარეს, რასაც „ოლიმპიას" მწვრთნელის ზმაგო საგადინის მატჩისშემდგომი კომენტარიც ადასტურებს: „ჩემი კალათბურთელებით კმაყოფილი ვარ, კერძოდ კი, ვლადიმერ სტეფანიას ვემადლიერები."

ვოვა, ცხადია, უფრო მეტად გაიხარებდა, მის გუნდს რომ მოეგო, მაგრამ ბერძნებმა 74:65 იძალეს და ფინალშიც გავიდნენ. სტეფანია კი დღეს საფრანგეთის „ვილერბანს" შეერკინება ევროლიგის მესამე ადგილისთვის.

**იხილეთ მეექვსე გვერდი**

მამუკა კვარაცხელიას,
კობა ინასარიძის,
მერაბ მამულაშვილის
და ბადრი კეთილაძის
(ფოტო) რეპორტაჟი
დილმის ბაზიდან

# ტყუპებს თურქეთი მობეზრებიათ



კარგა ხანია, საქართველოში თურქეთი ჩვენებურ კიჭებთან ასოცირდება. ესენი, იშვიათი გამონაკლისის გარდა ის, გურჯები არიან, ვისზეც შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სახეაო. მაგრამ ყველაფერს აქვს თავისი ვადა და მე თუ მკითხავთ, მოვიდა დრო, ამ ბიჭებმა სხვა, უფრო ძლიერ ჩემპიონატებსა და კლუბებში ითამაშონონ. ჩემპიონობის გარდა აჩი-შოთას გუნდური თუ ინდივიდუალური პრიზი არ დარჩენიათ, მოგებული რომ არ ჰქონდეთ. ის კი არა, ტყუპებს ხშირად სხვა ლაურეატთა დასაჯილდოებლადაც იწვევენ. მოკლედ, ტყუპებმა თურქეთში ზენიტს მიაღწიეს.

**— არჩილ, აღარაა საკმარისი ოთხი თურქული სეზონი?**

— საკმარისია, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ბოლო სეზონს ვატარებთ თურქეთში. კონტრაქტიც გვითავდება და არც ჩვენი საკომპენსაციო თანხაა დიდი. მოკლედ, ახლა ყველაფერი ჩვენი მენეჯერის, ბენეშის მარიფათზე ჰკიდია...

**— სომხებთან მატჩზე ბენეში იყო?**

— იყო, მაგრამ კონკრეტულად არაფერი უთქვამს, ის კი გვითხრა, წინადადებები არის, ოღონდ როცა საქმეს ბოლომდე მივიყვან, შემოგთავაზებთ და მაშინ აირჩიეთო. თავად ბენეშიც ძალიან არის დაინტერესებული ჩვენთვის კარგი კლუბების გამოძებნით და ჩვენც ეს არ გვინდა? ყველაფერს აქვს თავისი ზღვარი, თურქეთში ჩვენი სათამაშო უკვე ვითამაშეთ. წასვლის სურვილს ისიც აძლიერებს, რომ ჩემპიონობაც დავკარგეთ და თასიც...

**— ადრე „ბეშიქთაშის“ გამჩენპიონებელმა კრისტოფ დაუმმა, ახლა რომ ბუნდესლიგაში ერთ-ერთ საუკეთესო ლევერკუზენის „ბაიერნის“ თავკაცია, თქვენი გადაყვანა ისურვა. ახლაც იჩენს ინტერესს?**

— მარტო ეგ კი არა, დაუმმა მასთან ოთხთვიან პრაქტიკაზე მყოფი ერთ-ერთი უკრაინელი მწვრთნელი მოგვიგზავნა, ჩვენი მენეჯერობა ისურვა. ბენეშისგან ვიცით, რომ ერთ-ერთი კლუბი, რომელსაც ჩვენი წაყვანა სურს, სწორედ ლევერკუზენის „ბაიერნია“, მაგრამ ამაზე არ ვფიქრობთ. ახლა თავში სულ ინგლისი მიტრიალებს...

**— სომხებთან 7:0 მოგება სჯობდა თუ მინიმალური ანგარიშით გამარჯვება უფრო სასარგებლო იქნებოდა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით?**

— მოგება მოგებაა, თუკი მოგებით რაღაც დადებითს იღებ, არ სჯობია, კარგად მოიგო? ჩვენი ხასიათიდან და ფსიქოლოგიიდან გამომდინარე ალბათ სწორედ 7:0 სჯობდა. სხვათა შორის, ამ თამაშს ჩემთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და ყიფიანის უზომოდ მადლიერი ვარ. არის მომენტები, როცა ფეხბურთელს მწვრთნელისგან სჭირდება მორალური თანადგომა და ჩემი ნაკრებში მიწვევა და თამაშიც ეს მხარდაჭერა იყო ჩემთვის. გოლებს ნულა იტყვი...

**— ძმაზე, ნემსაძეზე და ჯამარაულზე რას იტყვი ახალს?**

— შოთაზე რა უნდა გითხრა ახალი, დაფრინავს, ნემსაძეს ისევ კაცზე ათამაშებს და ამით მწვრთნელი შეტევით პოტენციალს უზღუდავს, ჯამარა კი ბოლო მატჩებს თამაშობია და უნდა გითხრათ, ძალზე ძლიერად. ბოლო შეხვედრაში თავდამსხმელთა უკან ითამაშა, ორჯერ თავად შექმნა საგოლე მომენტი ერთხელ შოთასთან, ერთხელ ნემსაძესთან ერთად დაარტყა, მაგრამ ორჯერვე მეკარემ ივაჟკაცა, მოკლედ, ის ჯამარაა, ყველას რომ გვახსოვს...

...არჩილს ვარჯიშამდე ვესაუბრე, შოთას კი ვარჯიშის შემდეგ...

**— შოთა, შენ ერთადერთი გურჯი ხარ, რომელსაც იალმაზი ვერაფერს უბედავს...**

— არც მასეა საქმე, ისეთ მომენტებში მცვლის, გაკვირვებას ვარ. არ მინდა სხვანაირად გამომივიდეს, მაგრამ თამაშები წაგვიგია ამის მერე. იალმაზზე ახალს კი იმას გეტყვი, რომ გუშინ დავრეკე თურქეთში და როგორც კლუბში გვითხრეს, ერთი წლით გაუგრძელებიათ კიდევ კონტრაქტი.

**— ამან ალბათ თქვენი „ტრაბზონიდან“ წასვლის სურვილი კიდევ უფრო გააძლიერა...**

— ალბათ, თუმცა წასვლა ისედაც მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი. რატომღაც აღარც კალთებს გვახევენ ისე. მოკლედ, ახლა ჩვენი მენეჯერის სიტყვას ველოდებით. ინგლისიდან ჩამოსვლის მერე ათიოდ დღეში შეიძლება ბევრ რამეს მოეფინოს ნათელი. ისე, რა თქმა უნდა, ყველაზე მთავარი „უემბლიზე“ წარმატებული თამაშია.

**— თასი რაღად წააგეთ?**

— „ქოჯაელისთან“, რაც ჩვენ „ტრაბზონში“ ვართ, არც შინ, არც გარეთ ქულა რაა, ისიც არ დაგვიკარგავს. მე მგონი, ჩემპიონატში ჩვენს წინააღმდეგ შეგნებულად დაზოგეს ძალები. თანაც, ბედზე, ტრაბზონში თოვლი მოვიდა და საშინელ დღეში იყო მინდორი, ბურთი ვერ გავაგორეთ. ასეთი მინდორი სწორედ „ქოჯაელისნაირი“ გუნდების მეკავშირეა. მთელი თამაში ვუტევდით და მატჩის მიწურულს გაგვეპარა კონტრშეტევა. მეორე თამაშშიც დაცვაში ისხდნენ, ორი საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენეთ, 0:0 მთავრდებოდა, ჩვენთვის ეს ანგარიში წამგებიანი იყო და მთელი გუნდით შევუტიეთ. სწორედ მაშინ შეგვიგდეს გოლი, თუმცა, რაღა მნიშვნელობა ჰქონდა...

ახლა მეორე ადგილისთვის ვიბრძვით, განსხვავება სულ ორი ქულაა, თუმცა, ჩემპიონთა ლიგაში რომ მოვხვდეთ, თუ კარგი წინადადება შემოგვთავაზა ბენეშმა, მაინც წავალთ, მე მგონი, უკვე ვეღარ გავიზრდებით თურქეთში...

**— ისევ ერთად იქნებით თუ...**

— გააჩნია, ჩვენი მენეჯერი რას შემოგვთავაზებს. შევეცდებით ისევ ერთად ვიყოთ, თუ არ გამოვიდა, მაშინ დაშორება მოგვიწევს.

**— ინგლისზე რას მეტყვი?**

— რა უნდა გითხრა, საომრად მივდივართ...

**მამუკა კვარაცხელია**

„ტრაბზონსფორის“ მთავარ მწვრთნელს ქართველი ფეხბურთელები გულზე რომ არ ეხატება, არ ახალია. თამაში არ არის, რომელიმე ქართველი არ შეცვალოს, ანაც, თუ ბოლომდე ათამაშა, მაშინ ის მაინც გამორიცხულია, მინდორზე ოთხივენი ერთად იყვნენ. ხან აჩიკო არველაძე ზის სკამზე, ხან ჯამარაული, ნემსაძესა და შოთა არველაძესაც მოუწიათ „თამაშგარეთ“ ყოფნამ. იალმაზი განსაკუთრებით ჯამარაულს გადაჰკიდებია და იშვიათად აყენებს ხოლმე ძირითადში. თუმცა, ბოლო ხანს „გული მოლბობია“ და ჯამარაული ათამაშა. ჰოდა, თბილისში ჩამოსულ გოჩას პირველად ეს ვკითხეთ.

## გოჩა ჯამარაული: ვატყობ, მშვენიერ ფორმაში ვარ

— არ ვიცი, ვერ გამიგია, რას გვერჩის იალმაზი. ვარჯიშებზე ყველა თურქზე მეტად გამოვირჩევით, თამაშით კი ოთხივეს ერთად არასდროს გვათამაშებს. მიზეზი არც მიკითხავს და ცოტა მერიდება კიდეც. ხომ იცით, ყველა მწვრთნელი თავისებურად ფიქრობს. ყველა მოთამაშესთან ნორმალური ურთიერთობა აქვს, ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად არაფერი ეტყობა ბოლმიანობისა, გულში კი, რა ვიცი, რა უდევს.

**— ბოლო ტურში ძირითადში გათამაშა.**

— მანამდე „ქოჯაელისთან“ თასზე თამაშისას შეცვლაზე შემიყვანა. სულ ნახევარი საათი ვითამაშე და, ეტყობა, თავიც მოვაწონე. შემდეგ „დარდანელთან“ მათამაშა შეუცვლელად. თუმცა, ამას ხომ თამაში არ ერქვა, პირველსავე ტაიმში ოთხი ბურთის უპირატესობით ვიგებდით და მეორეში, ფაქტობრივად, მთელი გუნდი დადგა, მაინც და მაინც არც მე მომიკლავს თავი. მოკლედ, საინგლისოდ ცოტა სათამაშო პრაქტიკა მივიღე.

**— რომელ პოზიციაზე გათამაშებს?**

— ცენტრალურ ნახევარმცველად. ოღონდ შუაში სამნი ვთამაშობთ. მე ოდნავ მარჯვნივ ვარ, მარცხნივ უნალი, ჩვენს შორის კი თურქეთის ნაკრების წევრი თოლუნაი მოქმედებს. თამაშის გაძღოლა ჩვენ გვევალება. ნემსაძე კი უკან დასწია და მეტოქის თავდამსხმელზე პერსონალურად ათამაშებს. ნემსომ კიდევ ერთხელ დაამტკიცა უნივერსალური ფეხბურთელი რომ არის. თუმცა, მისი ადგილი მაინც მოედნის შუაშია.

**— წელან სათამაშო პრაქტიკაახსენე. განა ორი თამაში დაგეხმარება იმაში, რომ ინგლისთან ნორმალურ ფირმაში იყო?**

— ეგ პრობლემა ნაკლებად მაღარდებს. უთამაშებლობამ, შესაძლოა, საჩემპიონატო მატჩებში იმოქმედოს, მაშინ, როცა ზედიზედ გიწევს თამაში. ერთი მატჩისთვის მობილიზაცია კი ყოველთვის შემიძლია და ახლაც ვატყობ ჩემს თავს, რომ მშ-



ვენიერ ფორმაში ვარ. თანაც „უემბლიზე“ გვიწევს თამაში, ესაც ხომ დამატებითი სტიმულია.

**— ინგლისელების დამარცხება შეგვიძლია?**

— რატომაც არა. მთავარია, ზუსტად შევასრულოთ მწვრთნელების დავალება და საკუთარი ძალისაც ვირწმუნოთ. ასეთი შანსი შეიძლება მეორედ აღარც მოგვეცეს, ამიტომაც ყველანი მაქსიმალურად უნდა მოვემზადოთ, ყველამ უნდა მოვინდომოთ. ყველაზე მთავარი ის არის, როგორ განვეწყობით ფსიქოლოგიურად. თუ ისევ ისეთი შეცდომები დავუშვით, როგორიც თბილისში, 9 ნოემბერს, მაშინ არაფერი გამოვა. ინგლისელებთან თამაშის წინ ძალიან შებოჭილი ვიყავი. თითქოს ფიზიკურადაც არა მიშავდა, ჩივაძემაც კარგად დაგვარიგა, მაგრამ ფსიქოლოგიური სტრესიდან ვერა და ვერ გამოვედი. თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს ტვირთი მქონდა წამოკიდებული. „დინამოს“ „ბოავიშტასთან“ და „ტორპედოსთან“ თამაშებისას კი, საერთოდ არ გამჭირვებია, ღმერთმა ქნას, „უემბლიზე“ სათამაშოდაც ასევე განვეწყო.

**— ყიფიანმა სომხებთან თამაშისას ქინქლაძე წინ წასწია. შესაძლოა, ახლაც იგივე გაიმეოროს და შენც უფრო თავისუფლად ითამაშებ.**

— ქინქლაძესთან წყვილში არასდროს ვყოფილვარ შებოჭილი. დიდი ხანია ერთად ვთამაშობთ და ძალიან კარგად ვუგებთ ერთმანეთს. შეიძლება, ტრიბუნიდან ჩანდეს ასე, მინდორზე კი სხვა ვითარებაა. მოკლედ, გიოსთან ერთად ცენტრში თამაში არავითარი პრობლემა არ არის.

# ჩიხრაძე სამშობლოში მიდის

„დინამოს“ თეორიული მეცადინეობა დაემთავრებინა, ნაკრების წევრებიც ნელ-ნელა იკრიბებოდნენ, რომ ჩვენი უკრაინელი ლეგიონერი გიორგი ჩიხრაძეც გამოჩნდა. ჯამარაულისა არ იყოს, არც მას სწყალობს „შახტიორის“ მწვრთნელი, თუმცა ჩიხოს სამ თვეში კონტრაქტის ვადა უმთავრდება და თავის გზას თავადვე იპოვის.

— სასიკეთოდ არაფერი შეცვლილა. ისევ ისეთივე მდგომარეობაა, როგორიც ადრე. ძირითად შემადგენლობასთან კი ვვარჯიშობ, მაგრამ თამაშით „შახტიორის“ ფარმ-კლუბში ვთამაშობ მეორე ლიგაში.

**— მიზეზი?**

— ერიომენკოსი ვერ გამიგია: თუ ჩემი გუნდში გაჩერება არ სურს, მაშინ რაღას მავარჯიშებს ძირთადთან ერთად. ბოლო დროს, აშკარად ვამჩნევ, ლეგიონერებთან დამოკიდებულება შეცვალა, უპირატესობას ადგილობრივ ფეხბურთელებს ანიჭებს. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ძველი გუნდის აღდგენა სურდეს. საქმე ისაა, რომ ორი წლის წინ, როცა „შახტიორში“ მიმიწვიეს, ერიომენკო სწორედ მაშინ გაუშვეს გუნდიდან, რამდენიმე ფეხბურთელიც ზედ მიაყოლეს. ახლა კი თავისი საყვარელი მოთამაშეების უკან დაბრუნებას ცდილობს და ვინც ისევ „შახტიორში“ დაუხვდა, უპრობლემოდ ათამაშებს კიდეც.

**— მწვრთნელთან პირადად არ გილაპარაკია?**

— როგორ არა. შევედი და ვუთხარი — ძირითადში არ მაყენებ, არ მაყენებ, სხვა გუნდში გადასვლაში ხელს მაინც ნუ მიშლი-მეთქი. ამ სიტყვების მერე, ეტყობა, მთლად ამითვალწუნა და ახლა, ფაქტობრივად, არანაირი ურთიერთობა აღარ გვაქვს. თუმცა, არა უშავს, სამ თვესაც როგორმე გავუძლებ და აუცილებლად სხვა გუნდში გადავალ.

**— მიწვევები გაქვს?**

— არის რამდენიმე. ძირითადად რუსეთის გუნდები მეპატიჟებიან, მაგრამ წინასწარ რაიმეს თქმა ცუდად მაქვს დაცდილი და ჯერ არაფერს ვიტყვი.

**— უთამაშებელს ინგლისში გაგიჭირდება.**

— ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, ინგლისს ვეთამაშები თუ სხვა გუნდს. ყველასთან მაქსიმალური მონდომებით ვთამაშობ და არც „უემბლიზე“ დავზოგავ თავს. როგორც ვატყობ, საკმაოდ კარგად ვარ მომზადებული და მადლობა ყიფიანს, ნაკრებში რომ გამომიძახა. შიშის გრძნობა დიდი ხანია დავკარგე და რა უნდა მოხდეს, 30-ში რომ ვინმეს თავი დავუხარო?

**— ცოტა სტიმულს გესქოინის არყოფნაც მოგცემთ.**

— არც ამას აქვს დიდი მნიშვნელობა. რა თქმა უნდა, ინგლისელებისთვის გესქოინი დიდი ძალაა, მაგრამ მის შემცვლელსაც იოლად გამონახავენ. თუმცა, ჩემთვის სულ ერთია, ვინ ითამაშებს. თბილისური მატჩის შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ეროვნულ გუნდშიც ბევრი ცვლილება მოხდა და ინგლისშიც საბრძოლველად მივდივართ. ნურავინ იფიქრებს, რომ მასპინძლები ისევე ადვილად მოგვიგებენ, როგორც თბილისში...

**— გავიგეთ, ფოცხვერიას ცოლი შეურთავს?**

— კი, რამდენიმე დღის წინ მოაწერეს ხელი. ის გოგონას დიდი ხანია იცნობდა, სულ ერთად დადიოდნენ და, ბოლო-ბოლო, იქორწინეს კიდეც. თამაშით კი მიშა კარგად თამაშობს. ბათუმში მიღებული ტრავმა რამდენიმე დღის წინ მოიშუშა და ერთი გოლის გატანაც მოასწრო.



# გიორგი ნემსაძე: მე მართლა მოგებაზე ვფიქრობ



**— ბოლო ტურში „ტრაბზონის“ მწვრთნელმა ძირითადში სამი ქართველი გათამაშათ. ჯამარაული თასის ფინალშიც გამოიყვანა, ოღონდ ბოლო წუთებზე. ხომ არ შეცვლილა მისი დამოკიდებულება თქვენს მიმართ?**

— დამოკიდებულება ისევ ჩვენივე თამაშის წყალობით შეიცვალა. ახალმა მწვრთნელმა მოსვლისთანავე შემადგენლობა შეცვალა, შედეგს კი ვერ მივაღწიეთ. თითქმის ყველა მნიშვნელოვანი შეხვედრა წავაგეთ და იალმაზიც, როგორც ჩანს, მიხვდა რომ შემადგენლობისა და ტაქტიკის შერჩევისას ცდებოდა. ამის შემდეგლა გადაწყვიტა ჯამარაულის გამოყვანა.

არადა, მოსვლის დღიდან იალმაზმა გოჩა აითვალისწუნა და არ ათამაშებდა. „ტრაბზონში“ დირექტორატის იმ წევრებს კი, რომელთაც ჯამარას თურქეთში გადასვლა ითავეს, მის შესაძლებლობაში ეჭვი არ ეპარებოდათ. ამიტომაც გოჩას ძირითადში გამოყვანას ითხოვდნენ. იალმაზი კი ჯიუტი, თავისნათქვამა კაცია. ერთი მხრივ მართალიც იყო, მწვრთნელის საქმეში დირექტორატის წევრები რატომ უნდა ერეოდნენ, მაგრამ „ქოჯაელისფორთან“ თასის ფინალში გოჩამ დაამტკიცა, რომ იალმაზი ცდებოდა. ბოლო თხუთმეტი წუთი ითამაშა და ამ მცირე დროში ორი ასპროცენტიანი საგოლე მომენტი შექმნა. ამას გარდა, მისი უძლიერესად დარტყმული „ქოჯაელის“ რუმინელმა მეკარემ სასწაულ ნახტომში მოიგერია. მოკლედ, რაც ნახევარდაცვამ 75 წუთის მანძილზე ვერ მოახერხა, გოჩამ ის 15 წუთში შეძლო.

**— აბა, როგორღა წააგეთ?**

— კონტრშეტევაზე დაგვიჭირეს. სტუმრად 0:0 ხელს არ გვაძლევდა, რადგან შინ 1:1 ვითამაშეთ და ტრაბზონში გოლის გატანა უპირატესობას მეტოქეს ანიჭებდა. სხვა რა გზა გვქონდა, შევუტიეთ და ბოლო წუთებზე გაგვიტანეს.

**— „ტრაბზონი“ ჩემპიონობას კარგა ხანია გამოეთხოვა. ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი მეორე ადგილის შანსი მაინც თუ გაქვთ — ეს ადგილი ჩემპიონთა ლიგაში თამაშის უფლებას მოგცემდათ...**

— ეს, პრაქტიკულად, ძალიან ძნელი მისაღწევი იქნება. დარჩენილ ტურებში თითქმის ყველა ლიდერს მოგების დიდი შანსი აქვს. ისევე, როგორც ჩვენ.

**— ისევ მწვრთნელის და ჯამარაულის ურთიერთობას დავუბრუნდეთ...**

— გოჩას ძირითადში გამოყვანის აუცილებლობაში მწვრთნელი თავად გოჩამ დაარწმუნა. მის გარეშე დაცვა თავდასხმისგან მოწყვეტილი იყო, შოთას უჭირდა მის გარეშე — იბრძოდა, თავს იკლავდა, მაგრამ ბურთის ხეირიანად მიმწოდებელი აკლდა. მეც კაცზე მათამაშებს და შეტევებში ეპიზოდურად ჩართვის საშუალებასაც კი არ მაძლევს. მოკლედ, გოჩამ დაამტკიცა, რომ „ტრაბზონს“ ის სჭირდება.

**— „ტრაბზონში“ გადასვლის შემდეგ შენთვის ჩვეულ საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე თითქმის არ გითამაშია. ახლაც თქვი, კაცზე ვთამაშობო. ეს ნაკრების მატჩებში ხელს არ გიშლის?**

— რა თქმა უნდა, ძნელია და უცებ გადაწყობა უმტკივნეულო და უპრობლემო არც იქნება, შესაძლოა, ძველებურად თამაში გამიჭირდეს კიდეც, მაგრამ ერთი შეხვედრაც კი საკმარისია, რომ ძველებურად ავთამაშდე. ბუნებრივია ნაკრებს თუ დასჭირდება დაცვაშიც ვითამაშებ, მაგრამ ჩემი ადგილი მაინც მოედნის შუაშია. თავს უკეთესად სწორედ იქ ვავლენ. ნაკრების თამაშებზე სიხარულით იმიტომაც ჩამოვდივარ, რომ ვიცი, ნახევარდაცვაში დამაყენებენ. მართალია, „ტრაბზონში“ უკვე 15 შეხვედრაა, კაცზე ვთამაშობ და შევეგუე კიდეც ამ ამპლუას, მაგრამ ნემსაძე ვერასოდეს იქნება ისეთი მცველი, როგორიც ნახევარმცველია. ჩემი ადგილი მოედნის ცენტრშია. ვფიქრობ, ამ ადგილზე მეტი სარგებლობის მოტანა შემიძლია.

**— 9 ნოემბრამდე „ტრაბზონს“ ეჩვეოდი, ინგლისელებთან მეორე შეხვედრის წინ კი უკვე შემადგენლობაშიც დამკვიდრდი. წესით, ახლა უკეთეს ფორმაშიც უნდა იყო...**

— ყოველ შემთხვევაში, უარესად არა ვარ — არც ფიზიკურად, არც სხვა მხრივ. ყველაზე უკეთ ჩემი თავისა ხომ მე ვიცი, თუმცა, ყველაფერი 30 აპრილს გამოჩნდება.

**— საქართველოდან „უემბლის“ შიშითაც უმზერენ და იმედითაც. შენ რომლებში ხარ?**

— ჩემს თავს ყოველთვის შთავაგონებ, რომ ინგლისთან თამაშისას მხოლოდ მოგებაზე უნდა ვიფიქრო, საამისოდ ვიბრძოლო და თავი დავდო. ფრეზე ფიქრიც კი წარმატების შანსს გვიმცირებს. ჩვენ თუ საფრანგეთში მოხვედრა გვსურს, ინგლისიდან 3 ქულის ჩამოტანა უნდა შევძლოთ. წამითაც კი არ უნდა ვიფიქროთ რომ ინგლისელები ჩვენზე ძლიერები არიან. თუ ეს შევძელით, მაშინ გამარჯვება რეალური იქნება. ჩემი ნათქვამი ხალხზე გათვლილი არ გეგონოთ, თითქოს იმის ჩვენებას ვცდილობდე რომ არაფისი მეშინია, არა, მე მართლაც ასე ვფიქრობ.

**— ერთი გამოცდილი სპეციალისტისგან მსმენია, ინგლისელი, იტალიელი თუ ბრაზილიელი ბავშვი ბურთთან პირველი შეხებისთანავე მსოფლიო ჩემპიონობაზე ფიქრობს, ჩვენი ნაკრების მოთამაშეთა დიდი ნაწილი კი იმ თაობას ეკუთვნის, რომელთათვისაც ოცნების ზღვარი თბილისის „დინამოში“ თამაში იყო. განსხვავებული მიზანი კი განსხვავებულსავე რწმენასა და თავდაჯერებას აჩენსო...**

— ინგლისელების დარი სილაღით მოედანზე გასვლას მათსავით უმდიდრესი ტრადიციების მქონე ქვეყნის მოთამაშეები თუ შეძლებენ. ასეთი რწმენა უცებ არ მოდის. მათ უკვე საკმაო ხანია გაიარეს ის, რაც ჩვენ გასავლელი გვაქვს და იმიტომაც არიან ჩვენზე თავდაჯერებულნი. შეიძლება, მონდომებით და კლასით არ ჩემორჩე, მაგრამ თავდაჯერებულობით გაჯობოს. ეს მართლაც ბევრს ნიშნავს. მაგრამ, აქაოდა, ტრადიციებით გვჯობნიან და ყურები ჩამოვყაროთო, ამის თქმა, რაც წელან ვთქვი იმას აბათილებს. მაგალითად, უელსისა და ბულგარეთის დამარცხება იკმარებს. ჩვენს ტრადიციებს ჩვენი თამაშით და საქმეებით ვქმნით. რაც დრო გადის, სახელიანი მეტოქეების ნაკლები შიში და რიდი გვაქვს.

**— შენი აზრით ამ შიშისგან საბოლოოდ განთავისუფლებას ნაკრების პირველი თაობის წევრები მოახერხებთ?**

— ხომ ვთქვი, გრანდების შიში ნაწილობრივ მოგვეხსნა-მეთქი, მაგრამ მთლიანად შევძლებთ თუ არა ამ კომპლექსისგან თავის დახსნას, ძნელი სათქმელია. გუშინდელზე უკეთ რომ გამოვიყურები, ეს არ ნიშნავს, რომ ძალიან გავძლიერდი. შესაძლოა, ნაკრების ზოგიერთ წევრზე მეტად გამოცდილიც ვარ და სხვებზე ნაკლებადაც მეშინია, მაგრამ განა ეს ბევრს ნიშნას? კოჭლი კოჭლს რომ გაასწრებს მაინც კოჭლად არ დარჩება? მე ინგლისელებთან ისეთი თავისუფალი ვერ ვიყავი, როგორიც სომხებთან შეხვედრისას. თუმცა, ახლა იმედი მაქვს, რომ სხვაგვარად ვითამაშებ. ვიცი, რომ მოგებისთვის ბოლომდე დავიხარჯები და იმედიც იმიტომ მაქვს. შესაძლოა, თამაში არც წაგვივიდეს, მაგრამ ის მაინც უნდა მოვახერხოთ, რომ გოლი არ გავუშვათ. თუ ამას შევიგნებთ და ყოველ წამს გვემახსოვრება, წარმატებას მივაღწევთ. ჩვენ ერთი ცუდი ჩვევა გვაქვს — თამაში თუ არ გამოგვდის, ყურებს ჩამოვყრით ხოლმე. არადა, რამდენი შემთხვევა გვახსოვს, რომელიმე გუნდს თამაში არ წასვლია, მხოლოდ თავს იცავდა, ერთი კონტრშეტევის წყალობით კი მატჩი მოუგია. უკიდურეს შემთხვევაში ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთ. მთავარია, ყველა ბურთისთვის ბოლომდე ვიბრძოლოთ და გოლი არ გავუშვათ. ისიც ვიცი, ყველა ჩემსავით მოგებაზე ფიქრობს. მატჩის წინ ასეთი განწყობა თავისთავად ბევრს ნიშნავს და ჩემი აზრით, წარმატების საფუძველსაც ქმნის. თუმცა, რა იქნება, რას ვიზამთ, გულშემატკივართა იმედებს გავამართლებთ თუ არა, ამას 30 აპრილს ვნახავთ.

**— ახლა შენს მომავალზეც ვისაუბროთ. მართალია, ნემსაძე წლის ბოლოს „ტრაბზონის“ დატოვებას აპირებსო?**

— კონკრეტული წინადადება ჯერ არავისგან მიმიღია და ამაზე საუბარი ნაადრევია. ჩემი მენეჯერი ბენეში, ბუნებრივია, ამით დაინტერესებულია. მაგრამ, ყველაფერი ინგლისთან თამაშის შემდეგ გადაწყდება. ყოველ შემთხვევაში თუ უკეთესი გუნდი მიმიწვევს, წასვლაზე უარს რატომ ვიტყვი, ისევე, როგორც „ტრაბზონის“ სხვა ქართველები. თუ არადა, თურქეთში დავრჩები. თუმცა, ეს ვარიანტი ნაკლებად მიზიდავს.

**— სხვებს რა გეგმები აქვთ?**

— ვიცი, რომ შოთას „გალათასარაიში“ იწვევენ. ბუნებრივია, მისი ბედიც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ინგლისელებთან შეხვედრაზე. ეს თამაში ნებისმიერი ჩვენგანისთვის დიდი გამოცდა იქნება. ჩვენით დაინტერესებული გუნდებიც ამის შემდეგ აწონ-დაწონიან ყველაფერს და საბოლოო გადაწყვეტილებასაც მაშინ მიიღებენ.

**მერაბ მამულაშვილი**

## ჩაჩუა გადამდგარა?! „სამტრედია“ შეიძლება დაიშალოს

როგორ და რატომ დასაჯა ფეხბურთის ფედერაციამ „სამტრედია“, ამის თაობაზე ადრინდელ „სარბიელში“ გაუწყეთ. ეგ იყო, საიდუმლო ვითარებაში გამართული სხდომის მერე საფუძვლიანად ვერ გავარკვიეთ, ყალბისმქმნელი მწვრთნელები ქორიძე და გენძეხაძე ფეხბურთს დროებით ჩამოაშორეს თუ სამუდამოდ მოკვეთეს. ფედერაცია უმკაცრესი გამომდგარა ცდომილთა მიმართ: მათ ფეხბურთში მუშაობა სამუდამოდ აეკრძალათ. ამათ მოვალეობას ჯერ-ჯერობით ტარიელ დვალიშვილი ასრულებს.

როგორც სარწმუნო წყაროებიდან შევიტყვეთ, „სამტრედიას“ სხვა მხრივაც ძალიან უჭირს. იმასაც ამბობენ, გუნდი დაშლის პირზეაო. სამტრედიელები რამდენიმე დღის წინ შეიკრიბნენ და ფეხბურთელებმა რამდენიმე თვის კუთვნილი ხელფასები მოითხოვეს, თან დასძინეს, თუ სასწრაფოდ არ გადაგვიხდით, რუსთავში, 23-ე ტურის მატჩზე არ ჩავალთო. აქამდე გუნდი კლუბის პრეზიდენტს ტარიელ ჩაჩუას ელოდა. ისიც გამოჩენილა, მოთამაშეებისთვის კიდევ მცირე ხნით მოცდა უთხოვია და კვლავ შეპირებია, ყველას ერთდროულად გაგისტუმრებთო. ფეხბურთელებს მუქარა უკან არ მიაქვთ. გუნდი თურმე არც ვარჯიშობს, ყველანი სახლებში წასულან, თავად ჩაჩუას კი ხელი ჩაუქნევია, მორჩა, რახან ჯიუტობენ და ჩემი არ სჯერათ, ჩათვალეთ, რომ კლუბის პრეზიდენტი აღარა ვარო. აი, ასეთი არეული ვითარებაა. ადვილი მოსალოდნელია და საქმეს სწორედ ასეთი პირი უჩანს, რომ „სამტრედია“ დღეს რუსთავში არ ჩავიდეს. თუ ასე მოხდა, მაშინ, წესით და რიგით, „სამტრედია“ გათამაშებიდან მოიხსნება.

## ჩემპიონატი არ დაისვენებს

უემბლის მატჩის წინდღით არნახული რამ მოხდება. ფედერაციამ ამჯერად ტური კი არ გადადო, არამედ პირიქით, 11 მაისს გასამართი XXVI ტური 29 აპრილისთვის გადმოიტანა. ამ დღეს ის ხუთი წყვილი ითამაშებს, რომლებსაც ნაკრებში არაუმეტეს ერთი ფეხბურთელისა ჰყავთ. „სამგურალი“ — „ბათუმი“, „გორდა“ — „ტორპედო“ და „დინამო“ — „ოდიში“ კი 11 მაისს გაიმართება.

## ალექსიძე ჩელსის კაპიტანია

„ჩელსის“ დუბლშემადგენლობაში მოთამაშე არჩილ სახვაძესა და რატი ალექსიძეს ორშაბათს მნიშვნელოვანი მატჩი ჰქონდათ „ოქსფორდ იუნაიტედთან“. ამ მატჩის შედეგს დუბლიორთა ჩემპიონატში მესამე ადგილის ბედი უნდა გაერკვია. ამ შეხვედრაში ორივე ქართველმა ითამაშა, რატი ალექსიძემ კი სულაც კაპიტნის სამკლაურით გაიყვანა მინდორზე გუნდი. ალექსიძემ შეხვედრის ერთადერთი გოლიც გაიტანა და „ჩელსის“ მესამე ადგილზე გასვლაში ლომის წილი დაიდო.

შესაძლოა ზეგ „ჩელსის“ დუბლმა გუნდმა გადადებული მატჩიც გამართოს.

## მეორე ჯგუფი

ჯგუფში ბრძოლა [illegible]. მართალია, სათამაშო ჯერ კიდევ საკმაოდ დარჩა, მაგრამ ორივე ზონის გამარჯვებულები [illegible]. აღმოსავლეთში პირველი წრის ლიდერმა „ლოკომოტივმა“ მეორეში ადრინდელი უპირატესობა გაფლანგა. „მორკინალმა“ სვლის შენელება არ აპატია და 4 ქულით ჩამოიტოვა „ლოკომოტივი“, რომელიც ბორჯომში დამარცხდა თამაშის დამთავრებამდე 9 წუთით ადრე დაშვებული მეკარის შეცდომის გამო. არა გვგონია, „ლოკომოტივმა“ მეორე ადგილი რომელიმე მდევარს დაუთმოს. გადათამაშებაში მონაწილეობა განაღდებული აქვს.

დასავლელი ჭიათურის „მაღაროელი“ უკვე პირველი ჯგუფელად შეგვიძლია ვიგულოთ. მეორე ადგილისთვის „მეშახტე“ და „მერცხალი“ იბრძვიან. მართალია, ჯერჯერობით „მეშახტე“ მეორეა და თამაშიც აქვს თადარიგში, მაგრამ ტყიბულელები უახლეს კონკურენტ „მერცხალს“ უნდა ესტუმრნონ და ოზურგეთელები ალბათ შანსს ხელიდან არ გაუშვებენ, მით უმეტეს, რომ ბოლო ტურში მათ ლიდერი ჭიათურელები დაამარცხეს.

**დათო დანელია**

XXXI ტური, აღმოსავლეთი

თორი— ლოკომოტივი 1:0, ცხინვალი — მესხეთი 2:0, დურუჯი — სამგორი 1:0, დინამო 2 — ასკ 1:1, შირაქი — კოდაკო 1:1, ავაზა — ჭაბუკიანი 0:0, მორკინალი — აკადემია 2:0, 35 სტუ — არმაზი 1:4, იბერია — თსუ 2 3:1, მრეტები — ქინერი 3:0 (არ გამოცხადდა)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მორკინალი | 29 | 24 | 4 | 1 | 71:8 | 76 |
| ლოკომოტივი | 29 | 22 | 6 | 1 | 61:9 | 72 |
| ასკ | 29 | 20 | 2 | 7 | 59:34 | 62 |
| ცხინვალი | 28 | 20 | 1 | 7 | 59:27 | 61 |
| დინამო 2 | 29 | 17 | 6 | 6 | 81:22 | 57 |
| არმაზი | 27 | 16 | 2 | 11 | 67:46 | 50 |
| აკადემია | 29 | 14 | 7 | 8 | 60:28 | 49 |
| კოდაკო | 29 | 14 | 7 | 8 | 43:33 | 49 |
| იბერია | 29 | 15 | 2 | 12 | 46:37 | 47 |
| შირაქი | 29 | 12 | 11 | 6 | 39:32 | 47 |
| თორი | 29 | 14 | 4 | 11 | 35:45 | 46 |
| თსუ 2 | 28 | 10 | 1 | 17 | 33:56 | 31 |
| 35 სტუ | 29 | 7 | 8 | 14 | 40:54 | 29 |
| მრეტები | 29 | 7 | 7 | 15 | 34:47 | 28 |
| სამგორი | 29 | 8 | 4 | 17 | 35:61 | 23 |
| მესხეთი | 29 | 6 | 3 | 20 | 35:70 | 21 |
| დურუჯი | 29 | 5 | 5 | 19 | 18:69 | 20 |
| ქინერი | 29 | 6 | 3 | 20 | 36:97 | 16 |
| ჭაბუკიანი | 29 | 3 | 7 | 19 | 22:51 | 16 |
| ავაზა | 29 | 2 | 4 | 23 | 22:70 | 10 |

დასავლეთი, XXV ტური

მერცხალი —მაღაროელი 1:0, იმერეთი — ეგრისი 0:3, მამისონი — სულორი 3:5, ოდიში 2 — სალხინო 1:2, მეშახტე — კახაბერი 8:0, საპოვნელა — ოლიმპია 2:0, სქური — ბათუმი 2 2:0, კოლხეთი 2 — ტორპედო 2 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაღაროელი | 23 | 21 | 0 | 2 | 70:16 | 63 |
| მეშახტე | 22 | 18 | 1 | 3 | 51:17 | 55 |
| მერცხალი | 23 | 18 | 1 | 4 | 56:22 | 55 |
| ოლიმპია | 24 | 12 | 1 | 12 | 44:43 | 37 |
| საპოვნელა | 24 | 10 | 7 | 7 | 44:34 | 37 |
| კოლხეთი 2 | 23 | 12 | 4 | 7 | 38:15 | 35 |
| სალხინო | 23 | 11 | 2 | 10 | 35:33 | 35 |
| სამეგრელო | 23 | 9 | 6 | 8 | 44:42 | 33 |
| იმერეთი | 23 | 10 | 2 | 11 | 38:40 | 32 |
| სქური | 23 | 9 | 5 | 9 | 35:33 | 32 |
| სულორი | 24 | 9 | 4 | 11 | 32:36 | 31 |
| ეგრისი | 23 | 8 | 5 | 1 | 28:32 | 24 |
| ბათუმი 2 | 23 | 6 | 4 | 13 | 23:37 | 22 |
| ტორპედო 2 | 23 | 5 | 3 | 15 | 20:51 | 18 |
| მამისონი | 21 | 4 | 3 | 14 | 31:55 | 15 |
| კახაბერი | 24 | 4 | 3 | 17 | 24:87 | 15 |
| ოდიში 2 | 23 | 3 | 3 | 17 | 15:35 | 12 |

# ალექსანდრე იაშვილი: ჯავრი უნდა ვიყაროთ

გუშინწინ გერმანიის მეორე ბუნდესლიგის 27-ე ტურში იაშკას „ლიუბეკი“ ბერლინის „ჰერტას“ ეთამაშა. „ოლიმპიაშტადიონზე“ და 27-ე ქულა მოიპოვა: 0:0 ამით „ლიუბეკმა“ მეთოთხმეტე ქულა დააგროვათ მეორე წრის ცხრა შეხვედრაში და პირველი წრის ჩვიდმეტი მატჩის მონაგარს — ცამეტ ქულას გადააჭარბა. „ლიუბეკისთვის“ ეს ზედიზედ მერვე წაუგებელი მატჩი იყო. ჩვენებურს ურიგოდ არ უთამაშია, თუმცა ისევ უგოლოდ დატოვა მინდორი...

**— რა არის მიზეზი — ტელეფონით შევეხმიანე იაშკას მატჩის მერე...**

— აქ ძალზე ხისტი მეურვეობაა, საგოლე მომენტები იშვიათად იქმნება, მთავარიც სწორედ მათი მაქსიმალურად გამოყენებაა. პირველ ტაიმში „ჰერტასთან“ სამი ნაღდი საგოლე მომენტი გვქონდა, აქედან ერთი — მე, მაგრამ ბურთი ძელს მოვახვედრე. ერთი საგოლე პასიც მივეცი ჩემს კოლეგას, მაგრამ... მეორე ტაიმში „ჰერტა“, რომ იტყვიან, ჩვენს ნახევარზე დასახლდა, მთელი გუნდით ვიცავდით თავს და ქულის წამოღება მოვახერხეთ. მთავარი ახლა ქულებია, უიმედოდ ჩამორჩენილები აღარ ვართ, ყოველი მოგება უკვე ზემოთ გვაგდებს...

**— შემდეგი მატჩი როდის გიწევთ?**

— 24 აპრილს შინ ლაიფციგს ვხვდებით. მეორე დღეს კი ინგლისში მივფრინავ და ჩვენებს შევუერთდები. ლაიფციგი ცხრილის შუაშია, თუ მოვიგებთ, მდგომარეობას საგრძნობლად გავიუმჯობესებთ. ჩემპიონატის ბოლო მატჩიც ჩვენს კონკურენტ „მანჰაიმთან“ გვაქვს და თუკი მანამდე ვერ მოვაგვარეთ ლიგაში დარჩენის საქმე, შესაძლოა, ეს მატჩი გაგვიხდეს გადამწყვეტი.

**— მერაბ ჟორდანიამ გვითხრა, იაშვილით ბუნდესლიგაშიც დაინტერესდნენო.**

— ამის შესახებ არაფერი ვიცი. თუ მართლა არიან დაინტერესებულნი, მაშინ ჟორდანიას მიმართავენ. „ლიუბეკის“ პრეზიდენტი კი მეუბნება, არ გაგიშვებო, მაგრამ კონტრაქტი კონტრაქტია, შუა ივნისში ისევ თბილისში ჩამოვალ. მოკლედ, როგორც „დინამოში“ გადაწყვეტთ, ისე იქნება...

**— დარჩენა გინდა?**

— არ დავმალავ, მინდა, აქ სწორედ ისეთი ყოფაა, რომელშიც ფეხბურთელი გაიზრდება. თუ ყველაფერს გაიღებ, მაქსიმუმს მიაღწევ. საქართველოში კი გარკვეული ეტაპის შემდეგ ეს გამორიცხულია.

**— ინგლისზე რას ფიქრობ?**

— უნდა მოვიგოთ. ბათუმშიც გადაგვირჩნენ. ამდენი მომენტების გამოუყენებლობას წაგება მოსდევს. მე პირადად ერთად ამდენჯერ არასდროს გამიფუჭებია. ლონდონში ჯავრი უნდა ვიყაროთ, საკმაოდ კარგი ნაკრები გვყავს და, ვფიქრობ, დროა, მოგების გემოც გავიგოთ...

**მამუკა ქვარაცხელია**





სამეფო

შამპანური,

რომელსაც დიდი ხანია ელოდით

დამზადებულია ადგილობრივი ყურძნის ჯიშების, ციცქა, ჩინური, გორული, მწვანე და პინოსგან მიღებული ღვინომასალების სრული შამპანიზაციის გზით.

ქარხანა „ვაზიანი“

T: 94 16 90, 94 16 87

## უეფას თასის ნახევარფინალი

საპასუხო მატჩები. სამშაბათი, 22 აპრილი

UEFA CUP

მონაკო (საფრანგეთი) — ინტერი (მილანი, იტალია) 1:0 (1:3)
შალკე (გელზენკირხენი, გერმანია) — ტენერიფე (ესპანეთი) 2:0 (0:1)

# მესამე და სამართალი

### მონაკო 1:0 ინტერი

**მონაკო:** ბარტეზი, ბლონდო, დუმა, დიეტუ, მარტინი (გრაში 87), პეტი, ლეგვინსკი, კოლინზი (ანრი 62), შიფო, იკპება, ანდერსონი
**ინტერი:** პალიუკა, ანგლომა, პაგანინი, ფრეზი, ძანეტი, ინსი, სფორცა, ვინტერი (ბრანკა 72), ჯორკაეფი, განცი (გალანტე 88)
**გოლი:** იკპება (70)

გამარჯვების წყურვილიც ამას ჰქვია! ბევრი, პირველ შეხვედრაში 1:3 წაგების შემდეგ შესაძლოა საკუთარ თავსა და პრესას არ გამოტყდომოდა თორემ სინამდვილეში დანებებული იქნებოდა. „მონაკო" პირიქით გახლდათ განწყობილი. ის კი არა, ჰოლანდიელმა მსაჯმა მარიო ვან დერ ენდემ „ლუი მეორეზე" გამართულ საპასუხო შეხვედრაში მასპინძლებს ორი გოლი არ ჩაუთვალა და მიუხედავად ამისა ისინი წინ მიიწევდნენ. საფრანგეთის პირველობის ლიდერმა მაინც შეძლო გოლის შეგდება, ბოლო წუთებში კი მეკარიანად შეტევაზე გადავიდა. გოლკიპერმა ფაბიენ ბარტეზმა ჯერ იყო და ასხლეტილი ბურთი აარიდა კარს, შემდეგ კი კუთხურიც თავად ჩააწოდა, თუმცა ამ საგანგებო მონდომებამ შედეგი აღარ გამოიღო.



შალკე — ტენერიფე. მარკ ვილმოტსი ესპანელთა კარში გატანილ მეორე გოლს ხარობს

ამგვარად, 90-იანებში „ინტერი" მესამედ გავიდა უეფას თასის ფინალში. მილანელები 1991 და 1994 წლებში ფლობდნენ ამავე ჯილდოს, ახლა კი მესამედ შეეცდებიან ევროპის ერთ-ერთ უმაღლეს საფეხბურთო მწვერვალზე მოქცევას, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ფინალის პირველ შეხვედრაში რამდენიმე წამყვანი მოთამაშე არ ეყოლებათ. უპირველესად მათ იური ჯორკაეფი დააკლდებათ, აგრეთვე პოლ ინსი და ჟოსელინ ანგლომა, რომელთაც მონაკოსთან გადახდილ ომში ყვითელი ბარათი მიიღეს.

მაშ ასე, ვან დერ ენდემ ორი გოლი არ ჩათვალა. პირველი მე-8 წუთზე გავიდა, როდესაც მარტინ დიეტუმ ლილიან მარტინის მიერ ჩაწოდებული კუთხურიდან ამხტარ-დამხტარი ბურთი „ინტერის" კარის ჭერში შეაგდო, მაგრამ არბიტრმა ამ ეპიზოდში იტალიელთა გოლკიპერის ჯანლუკა პალიუკას უწესო შევიწროვება შენიშნა. მეორე ტაიმის შუაში, მოედანზე ახალშესულმა ტირი ანრიმ პატრიკ ბლონდოსთან ერთი-ორის გათამაშების შემდეგ ერთხელაც შეაგდო ბურთი სტუმართა კარის ბადეში, მაგრამ ტაბლოზე კვლავ არაფერი შეცვლილა — მსაჯმა თამაშგარე აღნიშნა. ამ გადაწყვეტილებამ მონაკოელთა დიდი აღშფოთება გამოიწვია, თუმცა აღშფოთება საქმეს არ შველის.

70-ე წუთზე მასპინძლებმა მაინც გაიტანეს თავისი. გაიტანეს წესის დარღვევით. სალივან ლეგვინსკის მიერ ხელით მიწოდებული ბურთი ვიქტორ იკპებამ მარჯვენა ფეხით გაუტანა პალიუკას. გოლი ნიგერიელისთვის მეშვიდე გახლდათ უეფას თასის ამ გათამაშებაში. მილანელებმა, კერძოდ მარკო ბრანკამ თავის მხრივ ძელს გაარტყა.

კიდევ ერთი: მონაკოში ჩატარებული შეხვედრა „ინტერის" მცველისთვის, ვეტერანი ჯუზეპე ბერგომისთვის ევროთასებზე მილანის გუნდში ნათამაშევი 97-ე იყო. ახლა ბერგომი, მომდევნო თამაშშივე მოხსნის რეკორდს — აქამდე 97 ევრო შეხვედრა, ერთ კლუბში, მხოლოდ მადრიდის „რეალის" ყოფილ გარემარბს, ფრანსისკო ხენტოს ჰქონდა ჩატარებული.

— ფინალში რომ ვერ გავედით მეტად გულდასაწყვეტია, მაგრამ რას იზამ, ფეხბურთი ფეხბურთია — თქვა მატჩის შემდეგ „მონაკოს" მწვრთნელმა, საფრანგეთის ნაკრების 80-იანი წლების ვარსკვლავმა ჟან ტიგანამ: — მსაჯობაზე ჩემი შეხედულება მაქვს, ვფიქრობ პირველი გოლი წესების სრული დაცვით გავიტანეთ. რაც შეეხება ჩვენსა და „ინტერს" შორის განსხვავებას, იგი მეტოქის უდიდეს გამოცდილებაშია. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ შეხვედრის სამი მეოთხედის განმავლობაში ვფლობდით უპირატესობას, მაინც მათ გაიმარჯვეს. რა გაეწყობა, ცხოვრება გრძელდება. იმედი მაქვს რომ წლეულს საფრანგეთის ჩემპიონობას მაინც არ გავუშვებთ ხელიდან.

არჩათვლილ გოლებზე სხვაგვარად ისაუბრა „ინტერის" თავკაცმა როი ჰოჯსონმა: — მე მჯერა ჩემი ფეხბურთელების, რომლებმაც მითხრეს, რომ საგოლე პასი იკპებას ხელით მიაწოდეს, ხოლო ანრი ოფსაიდში იდგა. ვფიქრობ მსაჯმა კარგად იმუშავა. „მონაკოზე" კი იმას ვიტყვი, რომ ამ გუნდმა დღეს დიდებული მატჩი ჩაატარა. „ინტერის" დაცვას ასეთი სასტიკი გამოცდა კარგა ხანია არ ჩაუბარებია. პირველ ტაიმში სულ ორიოდ მომენტი გვქონდა, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ და ამიტომაც გაგვირთულდა საქმე. დიდებულია ფინალში რომ გავედით, თუმც საამისოდ უძნელესი გზის გავლა მოგვიხდა.

შეხვედრაზე მეტოქეთა თითო ფეხბურთელმაც გამოთქვა აზრი. ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ნიგერიელმა ვიქტორ იკპებამ განაცხადა: — „ფინალს მიღმა სუსტად ნათამაშევი პირველი მატჩის გამო დავრჩით. ეს ფრიად გულდასაწყვეტია."

საფრანგეთის ნაკრებისა და „ინტერის" ვარსკვლავმა, ოდესღაც მონაკოელმა იური ჯორკაეფმა კოლეგის აზრი გაიზიარა: „მათ პირველ შეხვედრაშიც ასე რომ ეთამაშათ სულ სხვა იქნებოდა. დღეს დიდებული „მონაკო" დავამარცხეთ. ჩვენ დავრბოდით, თავს ვიცავდით და ტაქტიკურად მეტად ძლიერნი ვიყავით".

### შალკე 2:0 ტენერიფე

**შალკე:** ლემანი, ტონი, დე კოკი, ლინკე, აიგენრაუხი, მიულერი, ანდერბრიუგე, ბესკენსი, ლატალი (მელდი 110), ვილმოტსი
**ტენერიფე:** ანდერსონი, სუარესი, პასი (დანი 59), ბალესტეროსი, მატა, კრუსადო, მოტუნგი, ფელიპე, იოვანოვიჩი, კოდრო (ნუვილი 72), პინილია (ვიდმარი 98)
**გოლი:** ლინკე (68), ვილმოტსი (107)

გელზენკირხენის „პარკშტადიონზე" ტრავმათა გამო მთავარი თავდამსხმელების იური მიულდერისა და მარტინ მაქსის გარეშე დარჩენილმა „შალკე-04"-მა დამატებით დროში გადამწყვეტი გოლი გაუტანა „ტენერიფეს" და ისტორიაში პირველად ეგზომ მიუახლოვდა ევროპულ ჯილდოს. საერთო აზრით კანარის კუნძულელებმა საქმე მარცხამდე თავად მიიყვანეს. ის, რომ ესპანელები მხოლოდ საკუთარი კარის დაცვით გაერთნენ, მეტოქის კარის არსებობა კი სრულებით გადაავიწყდათ, გერმანელთა ღირსებას არ ამცირებს, მაგრამ ფაქტია. მათ მხოლოდ მას მერე ცადეს შეტევა, რაც 68-ე წუთზე გოლი გაუშვეს, ანუ ორი კვირის წინ შინ მიღწეული წარმატება ქარს გაატანეს. ამაზე რიცხვებიც მეტყველებენ: მასპინძლებმა 17 კუთხური ჩააწოდეს სტუმართა ხუთად ხუთის წილ. პირველი გოლიც კუთხურიდან გავიდა, „ტენერიფეს" გოლკიპერი ბენგდტ ანდერსონი მართალია თომას ლინკეს თაურს თითებით შეეხწვდა, მაგრამ ბურთის მოგერიება ვერ მოახერხა. მანამდე, 58 624 ქომაგის მიერ წახალისებული მასპინძლები რამდენჯერმე ახლოს იყვნენ მიზანთან. პირველ ტაიმში გოლის გატანის შანსი ჰქონდათ ჩეხ ირჟი ნემეცსა და ინგო ანდრებრიუგეს.

განსაკუთრებით მწვავე გელზენკირხენის გუნდს კუთხურ-ჯარიმები ჰქონდა. ასეთ სიტუაციებში ბურთთან ოლაფ ტონი მიდიოდა და მეტოქის კართან უეჭველ ხიფათს ჰქმნიდა. სტანდარტულმა დაყენებამ შედეგი გამოიღო, 107-ე წუთზე ტონის ჩაწოდებულ ჯარიმას ბელგიელმა მარკ ვილმოტსმა თაურით გაუკვალა გზა სტუმართა კარის ბადისკენ.

უმნიშვნელოვანესმა გამარჯვებამ „შალკეს" ნავსიან პერიოდს ალბათ ბოლო მოუღო. მიმოხილულ მატჩამდე, კანარის კუნძულზე ორი კვირის წინ გამართული პირველი შეხვედრის ჩათვლით გერმანიის ამ გუნდს რვა თამაშში გამარჯვებისთვის ვერ მიეღწია. გარდა ამისა, როგორც აღვნიშნეთ „შალკე" 93 წლიანი არსებობის მანძილზე პირველად გავიდა ევროშეჯიბრების ნახევარფინალში. ასე შორს კი ბოლოს 1970 წელს იყო გასული, თასების თასზე, სადაც „მანჩესტერ სიტისთან" წააგო.

— მე ფეხბურთელები გავაფრთხილე, რომ დამატებითი დრო იყო მოსალოდნელი. მართალიც ვყოფილვარ — ბრძანა მატჩის შემდეგ გერმანელთა ჰოლანდიელმა მწვრთნელმა ჰუუბ სტევენსმა, რომელიც უეფას თასის მიმდინარე გათამაშების დასაწყისში თავისი ქვეყნის „როდას" ედგა სათავეში, იმ „როდას" რომელიც მაშინ სწორედ „შალკემ" გამოთიშა გათამაშებიდან.

— ჩვენ ფაციფუცის გარეშე გვმართებდა თამაში. ვიცოდით, რომ მეტოქეზე გამოცდილი და უკეთ მომზადებული გუნდი ვართ — განაგრძო მან.

„ტენერიფეს" გერმანელმა თავკაცმა იუპ ჰაინკესმა კი განაცხადა: — დღეს კარგად ვერ ვითამაშეთ, რადგან ხუთი წამყვანი ფეხბურთელი გვაკლდა. ალბათ შენიშნეთ, ჩვენი გუნდი საკუთარ ჩრდილსღა ჰგავდა. მოთამაშეები დამბლიანებივით ირჯებოდნენ. წინა შეხვედრებში კი სულ სხვა ვითარება იყო. „შალკე" ფინალში გასვლას უთუოდ იმსახურებდა.

— ფინალში რომც ვერ გავსულიყავით, მაინც უეფას თასის ამ გათამაშების სენსაციური სვლის ავტორები ვიქნებოდით — თქვა „ტენერიფეს" კარში პირველი გოლის ავტორმა თომას ლინკემ.

**პაპუნა ძედია**

## საბერძნეთი

30-ე ტური: პაოკი — ოლიმპიაკოსი 0:0, ოფი — ედესაიკოსი 2:1, პანათინაიკოსი — ქსანტი 1:2, აპოლონი — პანილიაკოსი 2:0, იონიკოსი — კავალა 2:2, ირაკლისი — პანახაიკი 0:0, კალამატა — ათინაიკოსი 0:0, კასტორია — არისი 0:3, ვერია — აეკი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკ. | 30 | 22 | 6 | 2 | 54:11 | 72 |
| აეკი | 30 | 20 | 6 | 4 | 70:23 | 66 |
| ოფი | 30 | 18 | 5 | 7 | 44:24 | 59 |
| პანათინაიკ. | 30 | 17 | 3 | 10 | 46:24 | 54 |
| პაოკი | 30 | 15 | 9 | 6 | 38:26 | 54 |
| კავალა | 30 | 15 | 7 | 8 | 41:30 | 52 |
| პანილიაკოსი | 30 | 13 | 5 | 12 | 38:38 | 44 |
| იონიკოსი | 30 | 10 | 8 | 12 | 33:40 | 38 |
| ქსანტი | 30 | 9 | 9 | 12 | 45:46 | 36 |
| აპოლონი | 30 | 10 | 6 | 14 | 33:37 | 36 |
| ირაკლისი | 30 | 10 | 6 | 14 | 36:45 | 36 |
| ვერია | 30 | 9 | 8 | 13 | 27:28 | 35 |
| პანახაიკი | 30 | 8 | 10 | 12 | 27:35 | 34 |
| კალამატა | 30 | 8 | 9 | 13 | 31:50 | 33 |
| ათინაიკოსი | 30 | 8 | 7 | 15 | 30:52 | 31 |
| ედესაიკოსი | 30 | 7 | 7 | 16 | 33:50 | 28 |
| არისი | 30 | 7 | 10 | 13 | 27:44 | 28 |
| კასტორია | 30 | 1 | 5 | 24 | 11:61 | 8 |

## ინგლისი

XXXVI ტური

### ბლექბერნი 4:1 შეფილდი

**ბლექბერნი:** ფლაუერსი, კენა, შერვუდი, ჰენდრი, ლე სო, გალაჰერი (დონისი 79), სატონი (პედერსენი 46, ფენტონი 88), მაკკი
**შეფილდი:** პრესმენი, აზერტონი, ნოლანი, პემბრიჯი, უოქერი, უიტინგემი (ბლინკერი 74), კარბონი, ნიკოლი (კოლინზი 50), ოუქსი, დონალდსონი, ტრასტფული (ჰემპრეისი 50)

მატჩი, ასეთი მოულოდნელი შედეგით რომ დასრულდა, ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო მცველის ლე სოს ბენეფისად იქცა. მის მიერ დაწყებული კომბინაციით ბერგმა თაურით ანგარიში გახსნა. მალე შერვუდმა საუცხოო ილეთით მეორედ გამოაღებინა პრესმენს ბურთი ბადიდან. ტაიმის მიწურულს ჩინებული თამაშისთვის ლე სოსაც ეზღო: იგი მარცხნიდან შეიჭრა და 10 მეტრიდან პრესმენს მარცხენა ხელის ქვეშ გაუტარა. მეორე ტაიმში ანგარიში ფლიტკროფტმა უფრო სასტიკი გახადა. სტუმრებმა ბლინკერის წაქცევისთვის დანიშნული პენალტით იხეირეს — აპენინელმა კარბონიმ პრესტიჟის გოლი შეაგდო.

### ლიდსი 0:0 ასტონ ვილა

**ლიდსი:** მარტინი, კელი, დორიგო, პალმერი, რადებე, უეზეროლი, ბოუერი, ლილი, ჰოლი, ლორენი (უოლესი 62), რაში
**ასტონ ვილა:** ბოზნიჩი, სტონტონი, საუთგეიტი, თაუნსენდი (ფერელი 46), ტეილორი, რაიტი, ნელსონი, ჩურჩიჩი, ეჰიოგუ, მილოშევიჩი, იორკი

საგრძნობი უპირატესობა ბირმინგემელებმა მოგებად ვერ აქციეს და ფრე იკმარეს, თუმცა ევროპული ტურნირებისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგეს.

### სანდერლენდი 0:1 საუთჰემპტონი

**სანდერლენდი:** პერეზი, ჰოლი (რასელი 83), გრეი, ორდი, ჰაუი, ჯონსტონი (ქუინი 22), ბრაისველი, ბოლი, სტიუარტი, უილიამსი, უოდლი
**საუთჰემპტონი:** ტეილორი, ვან გობელი, ლუნდეკვამი (ბენალი 10), დრაიდენი (მედისონი 66), სლეიტერი, ნილსონი, ოსტენსტადი, ბერკოვიჩი (ოუკლი 60), ევანსი, მეჯილტონი, დოდი
**გოლი:** ოსტენსტადი (22)

აუტსაიდერთა შეხვედრაში სტუმრებმა მეტად საჭირო სამი ქულა მოიპოვეს და სახიფათო ზონას კიდევ ორი ადგილით დაშორდნენ.

### უიმბლდონი 0:1 ჩელსი

**უიმბლდონი:** სალივანი, კანინგემი (იუელი 22), კიმბლი, ჯოუნზი, ჰოლდსუორსი, პერი, გუდმენი (გეილი 68), მაკალისტერი, ერდლი, კასტელდაინი, ფეარი
**ჩელსი:** ფორესტი, პეტრესკუ, ლებეფი, მეიერსი, ბარლი, სინკლეირი, ნიკოლსი, გრენვილი, ჰიუზი (მორისი 76), ვიალი, ძოლა (შერინი 89)
**გოლი:** პეტრესკუ (14)

„ჩელსი" ცხრა დღეში მეორედ ეწვია „უიმბლდონს" და კვლავ მშრალად დაამარცხა მეტოქე, თუმცა, თასის ნახევარფინალური მატჩისგან განსხვავებით, ერთბურთიანი სხვაობა იკმარა. ძოლამ, ვინ მოთვლის, უკვე მერამდენედ დატოვა სახტად ყველა ბრწყინვალე თამაშით. სწორედ ჯანფრანკოს პასით გამოიჩინა თავი რუმინელმა პეტრესკუმ. ძოლამ საუცხოოდ კი ითამაშა, ორჯერ შესანიშნავი დრიბლინგიც განახორციელა, ულამაზესი პასებიც არიგა, მაგრამ გულიტი მატჩის ბოლოს მაინც შეაშფოთა: საფინალო სასტვენამდე წუთით ადრე იტალიელი დაშავდა და შესაძლოა „უემბლიზე" ქვეყნის თასის ფინალში ვერ ითამაშოს, თუმცა ეს მხოლოდ სავარაუდოა.

### ქოვენთრი 1:1 არსენალი

**ქოვენთრი:** ოგრიზოვიჩი, შოუ, ბოროუზი, ბაროუზი, უილიამსი, ველანი, მაკალისტერი, ტელფერი, სტრაჩანი (რიჩარდსონი 77), დაბლინი (ჰაკერბი 35), ნდლოვუ
**არსენალი:** სიმენი ბოულდი, ადამსი, კეონი, დიქსონი (პარლოუ 83), უინთერბერნი, ვიეირა, პლატი, მერსონი (ანელკა 77), რაიტი, ბერხკამპი
**გოლი:** დაბლინი (2), რაიტი (19 პ)

ლონდონელებმა ერთობ უსახურად ითამაშეს და ჩემპიონთა ლიგის საგზური, სავარაუდოდ, „ლივერპულს" გადაულოცეს: მასპინძელთა შავკანიანმა ფორვარდმა დიონ დაბლინმა დაახლოებით 12-13 მეტრიდან გაუტანა ალბიონის ძირითად მეკარეს — დევიდ სიმენს. ნაადრევმა გოლმა ლონდონელი მეთოფეები დააბნია და კიდევ რომ არ გაუშვეს, ისევ ამ გოლში ბრალდებულ სიმენს უნდა უმადლოდნენ. არსენალელთა დროებით არეულობას ქოვენთრელთა მეკარე სტივ ოგრიზოვიჩმა მოუღო ბოლო — ბებრუხანა მეკარემ სტუმართა შეტევა უწესოდ შეაჩერა და პენალტიც აიკიდა. ჩემპიონატის დასაწყისში მისგან ცხვირგატეხილმა რაიტმა პენალტი 2ზე შეაგდო.

**ლაშა გოდუაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 34 | 20 | 9 | 5 | 69:39 | 69 |
| არსენალი | 36 | 18 | 11 | 7 | 59:30 | 65 |
| ლივერპული | 35 | 18 | 10 | 7 | 58:33 | 64 |
| ნიუკასლი | 34 | 17 | 9 | 8 | 67:40 | 60 |
| ასტონ ვილა | 36 | 16 | 10 | 10 | 44:31 | 58 |
| შეფილდი | 35 | 14 | 14 | 7 | 48:44 | 56 |
| ჩელსი | 36 | 15 | 10 | 11 | 56:54 | 55 |
| უიმბლდონი | 35 | 13 | 10 | 12 | 45:44 | 49 |
| ლიდსი | 36 | 11 | 11 | 14 | 27:37 | 44 |
| ტოტენჰემი | 35 | 12 | 7 | 16 | 41:47 | 43 |
| ევერტონი | 36 | 10 | 12 | 14 | 43:52 | 42 |
| დერბი ქაუნთი | 35 | 10 | 12 | 13 | 42:54 | 42 |
| ბლექბერნი | 35 | 9 | 14 | 12 | 40:37 | 41 |
| ლესტერი | 34 | 10 | 10 | 14 | 39:49 | 40 |
| საუთჰემპტონი | 36 | 9 | 11 | 16 | 48:55 | 38 |
| ქოვენთრი | 36 | 8 | 14 | 14 | 35:51 | 38 |
| სანდერლენდი | 36 | 9 | 10 | 17 | 32:52 | 37 |
| ვესტ ჰემი | 34 | 8 | 11 | 15 | 33:45 | 35 |
| მიდლსბრო | 33 | 9 | 9 | 15 | 44:53 | 33 |
| ნოტინგემი | 35 | 6 | 14 | 15 | 30:53 | 32 |

## პირველი დივიზიონი

### იფსვიჩი 1:0 სიტი

**სიტი:** მარგეტსონი, ბრაითველი, ჰორლოკი, მაკგოლდრიკი, საიმონსი, ბრენენი, სამერბი, ატკინსონი, ჰინი (ყაველაშვილი 75), კრუქსი, ქინქლაძე
**გოლი:** სეჯლი (41 პენ)

მიუხედავად მარცხისა, მანჩესტერელებმა უკეთ ითამაშეს, თუმცა გიოს გუნდმა მაინც ვერ შეწყვიტა მეტოქის მეტად იღბლიანი საშინაო მატჩთა სერია — „იფსვიჩმა" ბოლო 11 შეხვედრაში 10-ჯერ იმარჯვა. მასპინძელთა ყველაზე რეალურ შეტევას გოლი მოჰყვა — სეჯლიმ მარგეტსონი თავისი დარტყმულისგან საპირისპირო კუთხეში აახტუნა. მანამდე „სიტი" აქტიურობდა, რაც არ ითქმის უჩვეულოდ ცუდად მოთამაშე ქინქლაძეზე. სტუმართაგან გამოირჩეოდა საიმონსი, მეტად სახიფათოდ ირჯებოდა გამოჯანმრთელებული ატკინსონიც. პირველ ნახევარში მასპინძელთა კარის დარაჯმა რაიტმა ორჯერ აილო ამათი მეტად სახიფათოდ დარტყმული, მეორეში კი სასწაულად იხსნა კარი სამერბის დარტყმისგან. შეხვედრის მიწურულს „სიტის" ჰინის ნაცვლად შესული ყაველაშვილის ძალისხმევამაც ვერ უშველა.

სამშაბათს გაიმართა კიდევ ერთი შეხვედრა: პორთსმუთი — ბარნსლი 4:2.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოლტონი | 44 | 27 | 13 | 4 | 94:50 | 94 |
| ბარნსლი | 44 | 21 | 14 | 9 | 73:50 | 77 |
| ვულვზი | 43 | 21 | 9 | 13 | 65:48 | 72 |
| იფსვიჩი | 44 | 19 | 13 | 12 | 66:49 | 70 |
| შეფილდი | 44 | 19 | 12 | 13 | 74:52 | 69 |
| პორტ ვეილი | 44 | 17 | 15 | 12 | 56:52 | 66 |
| პორთსმუთი | 44 | 19 | 8 | 17 | 58:53 | 65 |
| კრისტალ პალ. | 43 | 17 | 13 | 13 | 72:45 | 64 |
| ტრანმერი | 44 | 17 | 13 | 14 | 59:54 | 64 |
| ქუინზ პარკი | 44 | 17 | 12 | 15 | 62:57 | 63 |
| ნორვიჩი | 44 | 17 | 11 | 16 | 63:65 | 62 |
| ბირმინგემი | 44 | 16 | 14 | 14 | 49:47 | 62 |
| სტოკ სიტი | 44 | 17 | 10 | 17 | 49:55 | 61 |
| ჩარლტონი | 43 | 16 | 10 | 17 | 51:61 | 58 |
| სიტი | 44 | 16 | 9 | 19 | 56:58 | 57 |
| ვესტ ბრომვიჩი | 44 | 13 | 15 | 16 | 65:70 | 54 |
| ოქსფორდი | 44 | 15 | 9 | 20 | 59:65 | 54 |
| რედინგი | 43 | 14 | 12 | 17 | 52:61 | 54 |
| სვინდონი | 44 | 15 | 8 | 21 | 52:69 | 53 |
| ჰადერსფილდი | 44 | 12 | 14 | 18 | 46:60 | 50 |
| გრიმსბი | 43 | 10 | 12 | 21 | 55:78 | 42 |
| ბრედფორდი | 43 | 10 | 12 | 21 | 43:70 | 42 |
| ოლდემი | 44 | 9 | 13 | 22 | 48:64 | 40 |
| საუთენდი | 44 | 8 | 15 | 21 | 41:80 | 39 |

## თასის განმეორებითი ნახევარფინალური მატჩი

### ჩესტერფილდი 0:3 მიდლსბრო

(პირველი მატჩი 3:3)

**ჩესტერფილდი:** მერსერი, ჰევიტი, იულისი, კერტისი, უილიამსი, დეიში, დევისი, ჰოლენდი (ბომონი 71), მორისი, ჰოუარდი (კარი 62), ჰერკინსი
**მიდლსბრო:** რობერტსი, კოქსი (უაითი 69), ვიკერსი, პირსონი, ემერსონი, მასტო, ბექი, ბლექმორი, ჰინეტი, ჟუნინიო (სტამპი 90), რავანელი (ფრისტონი 90)
**გოლი:** ბექი (12), რავანელი (57), ემერსონი (89)

„მიდლსბრომ" პირწმინდად დაჯაბნა მეტოქე და პირველად ისტორიაში ალბიონის თასის ფინალში გავიდა. პირობითმა სტუმრებმა (მატჩი ნეიტრალურ სტადიონზე, შეფილდში გაიმართა) ხუთი გოლი შეაგდეს, მაგრამ თამაშგარესა და უხეში თამაშის გამო მსაჯებმა ორი არ ჩაუთვალეს. ბრწყინვალე იყო ჟუნინიო, ვინაც ერთი არჩათვლილი შეაგდო, ორჯერ კი თავისიანებს გაატანინა. ფუტკარივით მუშა ბრაზილიელმა მეტად მახვილგონივრული პასით მეორედივიზიონელ მცველებს თავგზა აუბნია და დანიელ ბექს შეაგდებინა.

## ფეხბურთის რუკასთან



**ესპანეთის** ჩემპიონატის 35-ე ტურის ბოლო მაჩტში მადრიდის „რეალმა" სტუმრად 1:1 ითამაშა „ვალენსიასთან". 63-ე წუთზე ანგარიში რაულმა გახსნა, 87-ზე კი მასპინძელთა ახალშეძენილმა ორტეგამ პენალტით გაათანაბრა.

**იტალიის „ნაპოლიმ" გაანთავისუფლა მწვრთნელი ჯჯი სიმონი, ვინაც გაისად მილანის „ინტერს" უხელმძღვანელებს. მწვრთნელმა კლუბის ეს ნაბიჯი იმით ახსნა, ჩემი „ინტერში" გადასვლა არად ეპიტნავათ და თავიდან ამიტომ მომიშორესო. კლუბში კი სიმონის გადაყენებას იმით ხსნიან, რომ ბოლო 14 შეხვედრაში „ნაპოლიმ" ერთადერთხელ იმარჯვა და ადრინდელი მეორე ადგილიდან მე-13-მდე ჩამოქვეითდა.**

**საფრანგეთში** „ბორდოს" ყოფილ პრეზიდენტ კლოდ ბეზს ქალაქის სასამართლომ ბორდოს მერიის სასარგებლოდ 462 ათასი დოლარის გადახდა მიუსაჯა. 1995 წელს ბეზი ერთი წლით ჩასვეს ციხეში იმის გამო, რომ ევროტურნირების მატჩების წინ არბიტრებს უფასოდ „ამარაგებდა" მეძავებით.

**არგენტინელმა დიეგო მარადონამ კარიერაში მესამედ დაუკავშირა ბედი „ბოკა ხუნიორსს". 37 წლის დიეგომ ეს დაბრუნება შვილებს მიუძღვნა. სანამ კლუბში მიიღებდნენ, მარადონამ „ბოკას" მისი წაყენებული აუცილებელი პირობა — საფუძვლიანი სამედიცინო შემოწმება გაიარა და კლუბის მაისურსაც უახლოეს დღეებში მოირგებს.**

**იტალიაში** ჩასულმა „რეალის" მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ აეროპორტში დახვედრილ ჟურნალისტებს აუწყა, სამშობლოში ორი დღით, ოჯახის მოსანახულებლად დავბრუნდი და არა ბერლუსკონისთან მოსალაპარაკებლადო. კაპელომ დამხვდურებს ხაზგასმით განუცხადა, „მილანში" დაბრუნებას სულაც არ ვაპირებ, ახლა ჩემთვის მთავარი „რეალის" ჩემპიონობააო.

**ინგლისის ნაკრების წევრი პოლ გესქოინი შესაძლოა გლაზგოს „რეინჯერსიდან" მიაბრძანონ. კლუბის მწვრთნელის უოლტერ სმიტის თქმით, გაზა თავისი უსაქციელობით კლუბს შეურაცხყოფს: „როცა იგი გადმომყავდა, ვიცოდი, რასაც ვაკეთებდი და მან ბევრი სიხარულიც მოგვიტანა, მაგრამ კლუბის სახელს გაფრთხილება უნდა, გაზა კი, ეტყობა, ასე არ ფიქრობს."**

**ინგლისის** „ევერტონის" დირექტორმა კლიფორდ ფინკმა განაცხადა, რობსონთან მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ და შესაძლოა ბობიმ მომავალ სეზონში ჩვენთან იმუშაოსო. თავად „ბარსელონას" თავკაცს, მაცადეთ, წყნარად ვაკეთო ჩემი საქმეო, დაუჟინია. „ბარსელონა" ჩემპიონატში მეორეა, თასისთვის და თასების თასისთვის იბრძვის, გულშემატკივრები მაინც რობსონის გადადგომას ითხოვენ. „ბარსელონას" პრეზიდენტმა ნუნიესმა უკვე მერამდენედ დაიცვა რობსონი: ერთბაშად ორი მწვრთნელის ყოლას არ ვაპირებ, ასე რომ, ვან გაალზე ამდენ ლაპარაკს შეეშვითო.

**ბრაზილიელი ჯოვანი ელბერი „შტუტგარტიდან" „ბაიერნში" გადავიდა. ბუნდესლიგის ლიდერმა ელბერში 7 მილიონ 300 ათასი დოლარი გადაიხადა. 24 წლის ბრაზილიელი მიუნხენელებს კლინსმანის შემცვლელად ეგულებათ — იგი ხომ ჩემპიონატის დამთავრებისთანავე ტოვებს „ბაიერნს".**

**იტალიის** „უდინეზემ", მას შემდეგ, რაც ჩემპიონატის ორ საგარეო შეხვედრაში „იუვენტუსი" და „პარმა" დაამარცხა, მწვრთნელ ალბერტო ძაკერონის ახალი სამწლიანი კონტრაქტი შესთავაზა. მწვრთნელი პასუხს უახლოეს დღეებში აპირებს.

**პორტუგალიის თასის გათამაშების მეექვსე წრეში ლისაბონის „სპორტინგმა" 1:0 დაამარცხა კოიმბრას „აკადემიკა".**

**შოტლანდიის** თასის ნახევარფინალის საპასუხო მატჩში „კილმარნოკმა" 1:0 დაამარცხა „დანდი იუნაიტედი" და 1960 წლის შემდეგ პირველად გავიდა ქვეყნის თასის ფინალში. „კილმარნოკი" ან „სელტიკს", ანაც „ფალკირკს" შეხვდება.

**ნიგერიელი სელესტინ ბაბიარო ბელგიის „ანდერლეხტიდან" ლონდონის „ჩელსიში" გადაბარგდა. 18 წლის აფრიკელის გადაბირებას „იუვენტუსიც", „ინტერიც" და „დეპორტივოც" ლამობდნენ, მაგრამ ბაბიარომ გულიტთან თანამშრომლობა არჩია.**

**განელებმა** მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩისთვის არ გამოიძახეს პრემიერლიგაში მოთამაშე ენტონი იებოა. „ლიდს იუნაიტედის" ფორვარდი იშვიათად ჩნდება მოედანზე, რამაც განელთა ნაკრების მწვრთნელთა აზრით, იგი ფორმიდან ამოაგდო.

### რუსეთი

მე-7 ტური: ალანია — ლოკომოტივი 1:2, სპარტაკი — ცსკა 0:0, როტორი — როსტსელმაში 0:2, დინამო — ნ.ნოვგოროდი 3:0, ფაკელი — ტიუმენი 1:0, შინიკი — კრილია 1:0, ჟემჩუჟინა — ბალტიკა 0:0, ჩერნომორეცი — კამაზი 1:0, ტორპედო — ზენიტი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| როსტსელმაში | 7 | 5 | 1 | 1 | 9:3 | 16 |
| სპარტაკი | 7 | 4 | 2 | 1 | 13:4 | 14 |
| როტორი | 7 | 4 | 2 | 1 | 10:4 | 14 |
| დინამო | 7 | 4 | 1 | 2 | 9:3 | 13 |
| ლოკომოტივი | 7 | 3 | 3 | 1 | 11:8 | 12 |
| ჟემჩუჟინა | 7 | 3 | 3 | 1 | 6:4 | 12 |
| ზენიტი | 7 | 3 | 2 | 2 | 6:4 | 11 |
| ტორპედო | 7 | 3 | 1 | 3 | 13:9 | 10 |
| კრილია | 7 | 3 | 1 | 3 | 5:6 | 10 |
| ბალტიკა | 7 | 2 | 3 | 2 | 4:4 | 9 |
| ჩერნომორეცი | 7 | 2 | 3 | 2 | 6:8 | 9 |
| ცსკა | 7 | 2 | 2 | 3 | 4:10 | 8 |
| ალანია | 7 | 2 | 1 | 4 | 10:8 | 7 |
| ნ.ნოვგოროდი | 7 | 2 | 1 | 4 | 3:7 | 7 |
| შინიკი | 7 | 2 | 1 | 4 | 4:11 | 7 |
| ფაკელი | 7 | 2 | 0 | 5 | 2:7 | 6 |
| კამაზი | 7 | 2 | 0 | 5 | 5:15 | 6 |
| ტიუმენი | 7 | 0 | 3 | 4 | 4:9 | 3 |

### ესპანეთი

მეორე დივიზიონი

32-ე ტური: სალამანკა — ბარსელონა B 3:0, ვილიარეალი — ოსასუნა 1:0, ატლეტიკო B — ეხიხა 1:1, ბადახოსი — ლას პალმასი 2:0, მალიორკა — ორენსე 1:1, ალავესი — ალბასეტე 0:2, ლევანტე — მერიდა 1:0, ეიბარი — ლეგანესი 0:0, ლერიდა — ალმერია 0:1, ტოლედო — რეალი B 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მალიორკა | 32 | 17 | 9 | 6 | 50:31 | 60 |
| მერიდა | 32 | 17 | 8 | 7 | 47:28 | 59 |
| სალამანკა | 32 | 16 | 9 | 7 | 58:28 | 57 |
| ალბასეტე | 32 | 16 | 9 | 7 | 44:28 | 57 |
| ეიბარი | 32 | 14 | 13 | 5 | 37:22 | 55 |
| ბადახოსი | 32 | 13 | 14 | 5 | 29:18 | 53 |
| ლევანტე | 32 | 11 | 11 | 10 | 45:37 | 44 |
| ლას პალმასი | 32 | 11 | 9 | 12 | 43:40 | 42 |
| ტოლედო | 32 | 11 | 9 | 12 | 35:40 | 42 |
| ვილიარეალი | 32 | 12 | 6 | 14 | 32:42 | 42 |
| ორენსე | 32 | 10 | 11 | 11 | 30:35 | 41 |
| ლეგანესი | 32 | 9 | 13 | 10 | 34:33 | 40 |
| ალავესი | 32 | 10 | 9 | 13 | 37:38 | 39 |
| ატლეტიკო B | 32 | 10 | 9 | 13 | 43:50 | 39 |
| ლერიდა | 32 | 9 | 10 | 13 | 37:37 | 37 |
| ალმერია | 32 | 7 | 14 | 11 | 32:41 | 35 |
| რეალი B | 32 | 9 | 6 | 17 | 34:62 | 33 |
| ოსასუნა | 32 | 7 | 10 | 15 | 29:38 | 31 |
| ბარსელონა B | 32 | 6 | 11 | 15 | 33:50 | 29 |
| ესიხა | 32 | 6 | 8 | 18 | 22:53 | 26 |


# სარბიელი

## სპორტული ლატარია
## "CROCO"

### გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. XXIX ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 25 აპრილი | | | |
| დუისბურგი — მიუნხენ 1860 | 2,0 | 2,9 | 2,9 |
| ლევერკუზენი — ვერდერი | 1,3 | 3,4 | 7,0 |
| 26 აპრილი | | | |
| არმინია — დორტმუნდი | 3,1 | 2,9 | 1,9 |
| კარლსრუე — ჰამბურგი | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| მიონხენგლადბახი — შტუტგარტი | 2,8 | 2,8 | 2,1 |
| ბოხუმი — ფრაიბურგი | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 2,7 |
| ბაიერნი — დიუსელდორფი | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 2,7 |
| შალკე — კიოლნი | 1,6 | 3,0 | 4,4 |

### გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. XXVII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 25 აპრილი | | | |
| მეპენი — ურდინგენი | 2,0 | 2,8 | 3,0 |
| კაიზერსლაუტერნი — როტ ვაისი | 1,05 | 6,5 | 12,0 |
| 0:1 | 1,3 | 3,2 | 5,0 |
| 26 აპრილი | | | |
| ცვიკაუ — ჰერტა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| ფორტუნა — კიკერსი | 1,8 | 3,0 | 3,3 |
| 27 აპრილი | | | |
| უნტერჰახინგი — კარლ ცაისი | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| ოლდენბურგი — გიუტერსლო | 2,4 | 2,6 | 2,4 |
| ლიუბეკი — ლაიპციგი | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| აინტრახტი — მაინცი | 2,2 | 2,7 | 2,7 |

### ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XXXXV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 26 აპრილი | | | |
| ბარნსლი — ბრედფორდი | 1,25 | 4,0 | 7,0 |
| ბირმინგემი — ოქსფორდი | 1,4 | 3,3 | 5,6 |
| ბოლტონი — ჩარლტონი | 1,3 | 3,4 | 7,0 |
| ნორვიჩი — მანჩესტერ სიტი | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| პორტ ვეილი — ვულვერჰემპტონი | 2,3 | 2,8 | 2,4 |
| პორტსმუთი — იფსვიჩი | 2,2 | 2,8 | 2,6 |
| ქუინზ პარკი — ტრანმერი | 1,7 | 3,0 | 3,8 |
| რედინგი — ოლდემი | 1,7 | 3,3 | 3,3 |
| შეფილდ იუნაიტედი — სტოკი | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| საუთენდი — ჰადერსფილდი | 1,6 | 3,4 | 3,6 |
| სვინდონი — კრისტალ პალასი | 3,4 | 3,2 | 1,7 |
| ვესტ ბრომვიჩი — გრიმსბი | 1,7 | 3,3 | 3,3 |

### საფრანგეთის ჩემპიონატი. XXXIV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 26 აპრილი | | | |
| ნანტი — კაენი | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| მონაკო — მარსელი | 1,4 | 3,3 | 5,6 |
| მეცი — ოსერი | 1,9 | 2,7 | 3,3 |
| ლე ავრი — რენი | 1,8 | 2,8 | 3,6 |
| ლიონი — ბასტია | 2,0 | 2,8 | 3,0 |
| პსჟ — ნიცა | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| ლანსი — ლილი | 1,7 | 2,9 | 4,0 |
| კანი — ბორდო | 2,4 | 2,6 | 2,4 |
| გინგამი — ნანსი | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| მონპელიე — სტრასბური | 2,0 | 2,9 | 2,9 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია B. XXXI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 26 აპრილი | | | |
| პესკარა — ვენეცია | 1,3 | 3,4 | 7,0 |
| 27 აპრილი | | | |
| კრემონეზე — ბარი | 2,4 | 2,8 | 2,3 |
| ჯენოა — დი სანგრო | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| ტორინო — პალერმო | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| ჩეზენა — კოზენცა | 1,7 | 2,9 | 4,0 |
| კიევო — ემპოლი | 2,0 | 2,8 | 3,0 |
| რეჯინა — ფოჯა | 1,9 | 2,8 | 3,2 |
| ლეჩე — ლუკეზე | 1,3 | 3,4 | 7,0 |
| სალერნიტანა — პადოვა | 1,8 | 2,9 | 3,4 |
| ბრეშია — რავენა | 1,6 | 3,0 | 4,4 |

### პორტუგალიის ჩემპიონატი. XXVIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 27 აპრილი | | | |
| ლეცა — ბელენენსეში | 2,0 | 2,8 | 3,0 |
| მარიტიმუ — პორტუ | 5,0 | 3,1 | 1,5 |
| რიუ ავე — გინგამი | 2,9 | 2,9 | 2,0 |
| სალგეირუში — შავეში | 1,4 | 3,2 | 6,0 |
| ფარენსე — ბენფიკა | 4,4 | 3,3 | 1,5 |
| ამადორა — ლეირია | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| ესპინიუ — ბრაგა | 2,4 | 2,8 | 2,3 |
| სპორტინგი — სეტუბალი | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,0 |
| ბოავიშტა — ჟილ ვისენტე | 1,15 | 5,0 | 8,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,0 |

### ჰოლანდიის ჩემპიონატი. გადადებული მატჩები

| | | | |
|---|---|---|---|
| 25 აპრილი | | | |
| ვიტესი — ტვენტე | 2,2 | 2,8 | 2,6 |
| 26 აპრილი | | | |
| როდა — ვალვაიკი | 1,25 | 4,0 | 7,0 |
| ნაიმეგენი — ტილბურგი | 2,1 | 2,8 | 2,8 |

### მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

| | | | |
|---|---|---|---|
| 26 აპრილი | | | |
| ნამიბია — ეგვიპტე | 4,2 | 3,1 | 1,6 |
| სიერა ლეონე — მაროკო | 2,8 | 2,8 | 2,1 |
| 27 აპრილი | | | |
| კენია — გვინეა | 2,0 | 2,9 | 2,9 |
| ბურკინა ფასო — ნიგერია | 4,7 | 3,2 | 1,5 |
| ტუნისი — ლიბერია | 1,4 | 3,3 | 5,6 |
| ზამბია — კონგო | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| ზაირი — სამხრეთ აფრიკა (ნეიტრალურ მოედანზე) | 3,8 | 3,0 | 1,7 |
| ზიმბაბვე — ანგოლა | 2,0 | 2,9 | 2,9 |
| კამერუნი — ტოგო | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| განა — გაბონი | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| კანადა — იამაიკა | 1,2 | 4,2 | 8,0 |

### ფორმულა 1. სან მარინოს დიდი პრიზი

| | | | |
|---|---|---|---|
| 27 აპრილი | | | |
| პირველი სამეული თანმიმდევრობით | | 12,0 | |
| პირველი სამეული | | 4,0 | |

### მსოფლიო ჩემპიონატი ჰოკეიში

| | | | |
|---|---|---|---|
| 26 აპრილი | | | |
| ჩეხეთი — გერმანია | 1,2 | 4,7 | 6,0 |
| ფინეთი — საფრანგეთი | 1,1 | 5,0 | 9,0 |
| კანადა — ნორვეგია | 1,1 | 5,0 | 9,0 |
| შვედეთი — იტალია | 1,1 | 5,0 | 9,0 |
| 27 აპრილი | | | |
| რუსეთი — სლოვაკეთი | 1,4 | 4,0 | 4,0 |
| აშშ — ლატვია | 1,4 | 4,0 | 4,0 |

**აღდგომა დღეს, 27 აპრილს, CROCO არ იმუშავებს**

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა.
თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში,
ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე;
ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში, პუშკინის, 16

# კლაპ: ბარსელონა და ბერძნები ოლიმპიაკოსი და ესპანელები

**ევროლიგა. „ოთხთა ფინალი“ ნახევარფინალები**
**რომი. 22 აპრილი. PALAEUR**

**ოლიმპიაკოსი — ოლიმპია 74:65**

**ოლიმპიაკოსი:** რივერსი (28), სიგალასი (7), ნაკიჩი (10), ტარლაცი (10), ფასულასი (6); ტომიჩი (8), პაპანიკოლაუ (5), ველპი, ბაკაციასი
**ოლიმპია:** მაკდონალდი (7), ჰენრი (6), მილიჩი (5), კრალიევიჩი, სტეფანია (12); დანეუ (11), ტუშეკი (7), ნესტეროვიჩი (3), ჰაუპტმანი (10), ჰორვატი (4)

წინა „სარბიელში“ ვწერდით, „ოლიმპია“, შესაძლოა, რიგიანი უკანახაზელის არყოლამ დააზარალოსო. ფაქტობრივად, ასეც მოხდა, რადგან სლოვენთა შორის არ აღმოჩნდა კაცი, რომელიც წინააღმდეგობას გაუწევდა და შეაჩერებდა „ოლიმპიაკოსის“ ამერიკულ გამთამაშებელს დევიდ რივერსს. ოკეანისგაღმელმა 10-დან 6 ორქულიანი, 3-დან 2 სამქულიანი, 10-დან 10 საჯარიმო ჩააგდო და, პრაქტიკულად, მარტომ გადაწყვიტა მატჩის ბედი.

„ოლიმპიას“ წარმატება ფარსშიგნით უნდა ეძებნა, რადგან სიმაღლეში უპირატესობა ჰქონდა. ეს კი არ მოხერხდა, რადგან კრალიევიჩი, ფაქტობრივად, ტყუილად იყო მოედანზე. მილიჩს კი მჭიდროდ მეურვეობდნენ. ეს მისია სოგალასმა იტვირთა და შესანიშნავადაც. სლოვენიელი ვერ ინძრეოდა, განსაკუთრებით დებიუტში და დიდად ვერაფრით შეეწია სტეფანიას, რომელსაც მარტო უწევდა ტარლაცთან და ფასულასთან გამკლავება. ეუვამ მაგრად დაჩაგრა ბერძნული კალათბურთის სიამაყე და ცოცხალი ლეგენდა: სულ ოთხჯერ ასროლინა და აქედან ორჯერ ჩაგდებინა.

იმ დღეს სტეფანიას დარი ერთი-ორიც რამ ჰყოლოდათ, ლიუბლიანელები ნაღდად მოიგებდნენ, მაგრამ თავდაუჯერებლად თამაშობდნენ. გუნდის ახალგაზრდობამ და გამოუცდელობამ (რაზეც საგანგებოდ მიუთითებდნენ სპეციალისტები) იჩინა თავი. სლოვენიელთა ფორვარდები დააფრთხო მათმა ბერძენმა კოლეგამ პაპანიკოლაუმ, რომელმაც მეორე ტაიმში დაცვის დარაზმვა იკისრა. ბერძნები სიმაღლის დეფიციტს არად დაგიდევდნენ, რადგან „ოლიმპიამ“ ეს უპირატესობა იოტისოდენადაც


EL PAIS
„ბარსელონას“ ჯორჯევიჩს ფარზე გაჰყავს თანაგუნდელი რივასი

კი ვერ გამოიყენა. „ოლიმპიაკოსი“ ბოლო ოთხ სეზონში მესამედ გავიდა ევროლიგის ფინალში. იქ კი ორჯერვე ესპანურმა გუნდებმა — ბადალონის „ხუვენტუდმა“ (1994) და მადრიდის „რეალმა“ (1995) დაამარცხეს.

მატჩის შემდეგ „ოლიმპიას“ მწვრთნელმა ზმაგო საგადინმა აღნიშნა, რომ მოხარულია ასეთ მაღალ დონეზე ასპარეზობით. მან ხოტბა შეასხა დევიდ რივერსის ოსტატობას, თუმცა ისიც დააყოლა, პირველი ტაიმის ბოლოს ცოტა ხეირიანად რომ გვეთამაშა, იქნებ მოგვეგოო. „ოლიმპიაკოსი“ გაცილებით გამოცდილი გუნდია, რაც მატჩის გადამწყვეტმა მომენტებმაც დაამტკიცა — დასძინა საგადინმა.

„ოლიმპიაკოსის“ იუგოსლაველი დამრიგებელი დუშან ივკოვიჩის კომენტარი ასეთი იყო: „ცუდად არ გვითამაშია, ყველაფერი კარგად წარიმართა. კარგად გამოვიყურებოდით სწრაფ გარღვევებში. არაგვიშავდა მოხსნებშიც, ოღონდ საკუთარ ფარზე. ჩვენს ყველაზე დიდ თავსატეხად მეტოქის ფარზე ბურთის მოხსნა რჩება. უნდა გავაუმჯობესოთ დაცვა სამქულიანი ხაზის პერიმეტრზე, რათა შორი სროლები ავიცილოთ.“

**ბარსელონა — ვილერბანი 77:70**

**ბარსელონა:** ჯორჯევიჩი (17), ფერნანდესი (14), კარნიშოვასი (9), ხიმენესი (16), რივასი (7); დუენიასი (2), ხოფრესა (2), ესტელერი (6), ანდრეუ (4), ბოში
**ვილერბანი:** რადი (20), ჰოვარდი (20), დიგბო (9), რიპე (9), სმიტი (3); ადამსი (9), ნებო, პლიუვი

„ვილერბანმა“ ჯგუფურ ტურნირში ორჯერ დაამარცხა „ბარსელონა“, მაგრამ „ოთხთა ფინალი“ სრულიად განსხვავებული რამაა, თანაც, ესპანელებს შარშან არ ჰყავდათ ალექსანდრ ჯორჯევიჩი, რომელმაც მათ გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო.

„ბარსას“ სასტარტო ხუთეულმა ჩინებულად დაიწყო და 19:9 დაწინაურდა. შემდეგ სათადარიგოები შემოვიდნენ და საქმეებიც აირია. „ვილერბანის“ მწვრთნელმა ბონომ რამდენიმე გადაადგილება მოახდინა, ხოლო დაცვაში ზონური პრინციპი — 2-3 აირჩია. ჯორჯევიჩს მეურვეობდა დელანი რადი, რომელიც შეტევაშიც ასწრებდა და ქულების დაგროვებასთან ერთად უენტრ სმიტსაც ამარაგებდა პასებით. ამის ფიზიკური მომზადება ვერ იყო სათანადო. მიუხედავად ამისა, ფრანგულმა დაცვამ ის მოახერხა, რომ ტაიმი ორი ქულით წააგო — 36:38.

მეორე ტაიმში „ვილერბანმა“ ჯერ გაათანაბრა ანგარიში (44:44), მოგვიანებით კი დაწინაურდა კიდეც (63:62). აქ ბარსელონელები გონს მოვიდნენ და ჯერ რადის პარპაში აღკვეთეს, მერე კი ინიციატივა ჯორჯევიჩს გადაულოცეს. პატარა თავხოტორა კაცს ბევრი არ უფიქრია, სამქულიანებით დაიწყო ფრანგთა რბევა (მატჩში 4-დან 4 სამქულიანი ჩააგდო) და სირენამდე ერთი წუთით ადრე თავისიანები 73:70 დააწინაურა. ჯორჯევიჩს შეეშველა ხავიერ ფერნანდესიც და გარღვევებით სისხლი გაუშრო მეტოქეს. ილაჯგაწყვეტილ ვილერბანელებს კი წინააღმდეგობის გაწევა აღარ შეეძლოთ. ამრიგად, „ბარსელონა“ ზედიზედ მეორედ გავიდა ევროლიგის ფინალში, სადაც მას „ოლიმპიაკოსი“ ელის. შარშან, გეხსომებათ, კატალონიელები სკანდალურ მატჩში დამარცხდნენ ბერძნულსავე კლუბთან, „ოლიმპიაკოსის“ მოსისხლე „პანათინაიკოსთან“.

მატჩის შემდეგ „ბარსას“ მწვრთნელმა აიტო გარსია რენესესმა თქვა: „ურთულესი მატჩი იყო. იძულებული გავხდით, ბოლომდე კარგად გვეთამაშა. ფრანგთა ზონურმა დაცვამ პრობლემები შეგვიქმნა. მოხარული ვარ ფინალში გასვლით, მაგრამ უფრო გამეხარდებოდა, თუ ხუთშაბათსაც მოვიგებთ.“ „ბარსას“ მოთამაშემ ანდრეს ხიმენესმა აღნიშნა, რომ ნებისმიერი ევროპელი კალათბურთელისთვის საპატიოა ევროლიგის ფინალში თამაში და მეამაყება, იქ „ბარსელონასთან“ ერთად რომ მოვხვდით.

„ვილერბანის“ მწვრთნელი ბონო: „ჩვენი ყველაზე დიდი პრობლემა გამოუცდელობაა. როცა საჭირო იყო, თამაშის სადავეები ვერ ვიგდეთ, „ბარსამ“ კი მოთამაშეთა ფიზიკური მონაცემებით მოგვიგო. ჩემი კალათბურთელები იძულებულნი იყვნენ, გარედან ეთამაშათ, რადგან ფარქვეშ მათ არავინ შეუშვებდა. თითქმის იგივე განაცხადა დელანი რადმაც: „ფარქვეშ „ბარსელონას“ წინააღმდეგ ვარაფერი მოვიფიქრეთ. კატალონიელთა დაცვის გარღვევა ძალზე ძნელი იყო“.

# ფინალი: ვითა — დინამო (თუ სდასუ?)

**ვერის ბაღი. 23 აპრილი. საქართველოს ჩემპიონატი. ნახევარფინალის პირველი მატჩი**

**დინამო — სდასუ 84:79 (დ. დ.)**

**დინამო:** მაისურაძე (5), ხოშტარია (23), ცხვედიანი (4), ბეჟანიშვილი (24), სხიერელი, მაჭარაძე (3), ჟღენტი (5), ოთიურიძე (2), ვაშაკიძე (6), კილაძე (12), ჩიქოვანი
**სდასუ:** აბრამიძე (19), დავითულიანი (25), ჩუბინიძე (8), აბულაძე, დერიუგინი (24); მუშკუდიანი (2), ბენდელიანი (1), ბერეკაშვილი
**მსაჯები:** მაჩალაძე, მოლოდინაშვილი

სდასუ — დინამოს მატჩები რომ არა, წლევანდელი ჩემპიონატი ბევრს დაკარგავდა. ეს პირველი ნახევარფინალური შეხვედრითაც დადასტურდა. დიდი ხანია, საქართველოს ჩემპიონატში ასეთი დრამატული მატჩი არ გამართულა.

უკვე მე-5 წამზე ცხვედიანმა ანგარიში გახსნა. შემდეგ შეხვედრა ერთობ უჩვეულოდ წარიმართა. დინამოელები არ გამოირჩეოდნენ დიდი შედეგიანობით, სდასუმ კი... პირველ ხუთ წუთში ერთი ბურთიც ვერ ჩააგდო. მხოლოდ მე-6 წუთზე შეძლო დავითულიანმა ბურთის კალათში მოთავსება, ამ დროისთვის კი ბეჟანიშვილისა და ხოშტარიას მეცადინეობით „დინამო“ საკმაოდ დაწინაურდა. ალბათ, ამ ხელმოცარვის მიზეზი უნივერსიტეტელთა ნერვიულობაც იყო, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ დინამოელები ჩინებულად მოქმედებდნენ დაცვაში. სდასუს ლიდერები მაისურაძემ, სხიერელმა და ხოშტარიამ დაინაწილეს, ანუ შესაბამისად, დავითულიანს, დერიუგინს და აბრამიძეს დაუდგნენ და ამათ ვერაფრით დააღწიეს თავი მარწუხებს. ამ დროს აბულაძეს შეეძლო თამაშის გახსნა, მას კი საერთოდ არ წაუვიდა ტყორცნები, ვერც ბერეკაშვილმა და მუშკუდიანმა შეცვალეს ვითარება და „დინამო“ მე-10 წუთზე 18:5 დაწინაურდა, ისევ ვეტერანმა დერიუგინმა იყოჩაღა, ნავსი გატეხა და ფარქვეშ ბრძოლა მოიგო. მას მუშკუდიანმა წაჰბაძა და სტუდენტებს სასტარტო დაძაბულობა მოეხსნათ. ჩვეულად გაინავარდა დავითულიანმა. აბრამიძემაც შეაწია სამქულიანი და ანგარიში, ასე თუ ისე, ღირსეული მეტოქეების შეხვედრის ანგარიშს დაემსგავსა 25:19. მომდევნო სამი წუთი აბრამიძისა იყო და სდასუმ ანგარიში გაათანაბრა 30:30. ამ დროს იყო, რომ ბეჟანიშვილმა მეოთხე პერსონალური შენიშვნა მიიღო და „დინამოს“ ლიდერს მატჩის ნაადრევად დასრულება დაემუქრა. სტუდენტებს ალბათ უნდა ეზრუნათ, რათა დროულად მოეშორებინათ ვაკო, რადგან მათი ფარისათვის ყველაზე დიდ საფრთხეს სწორედ ის წარმოადგენდა, მაგრამ ეს მათ მთელი ძირითადი დროის განმავლობაში ვერ შეძლეს. ტაიმის ბოლოს დერიუგინის, დავითულიანის და აბრამიძის შედეგიანი თამაშით სტუდენტები ხუთი ქულითაც დაწინაურდნენ, მაგრამ კვლავ ხოშტარიამ და ბეჟანიშვილმა იმარჯვეს და ვაკომ ბოლო წამზე პირველი ნახევარი გააყაიმა 41:41.

მეორე ტაიმი ისევ დინამოელთა უპირატესობით დაიწყო. დაცვაში კარგად მოთამაშე კილაძის წყალობით „დინამო“ კი დაწინაურდა, მაგრამ პირველი ნახევრისგან განსხვავებით სდასუ უფრო მალე მოეგო გონს და ალეკო დავითულიანის ჩინებულმა გასვლამ ისევ აღადგინა წონასწორობა — 48:48. აქედან მოყოლებული ბოლომდე ვერცერთი გუნდი ვერ დაწინაურდა სამ ქულაზე მეტით, რადგან ყოველ შედეგიან შეტევას მეტოქე უმალ ასევე პასუხობდა — აგდებს ხოშტარია სამქულიანს — უპასუხებს აბრამიძე, გარღვევაზე გავა ბეჟანიშვილი, პასუხობს დერიუგინი. მატჩის ბოლო ძალზე დაძაბულია. კილაძის ტყორცნა — 67:66 დინამოს სასარგებლოდ, ჩუბინიძე — 68:67 უკვე სდასუა წინ, ხოშტარია ჯარიმებს ისვრის — 69:68, დერიუგინი 70:69. მატჩის დამთავრებამდე წუთზე ცოტა მეტია. აქ დავითულიანი გავიდა გარღვევაზე, მის წინააღმდეგ დაჯარიმდნენ, მაგრამ


სხიერელი დერიუგინის „კლანჭებში“

ალეკო აღელდა და ორივე ჯარიმა გააცუდა. ამით ისარგებლა კილაძემ და ზუსტი ჯარიმით გაათანაბრა ანგარიში. სტუდენტები ბურთს კარგავენ და ვაშაკიძე, რომელიც ხანგრძლივი შესვენების შემდეგ პირველად გამოვიდა მოედანზე, აწინაურებს „დინამოს“. დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე კი დინამოელები ჩუბინიძის წინააღმდეგ ჯარიმდებიან. 70:72 და მატჩის ბედი ზურას ხელშია. ზურაბი ისვრის და ანგარიში თანაბრდება 72:72. დინამოელები ელვისებურად უტევენ, ვაშაკიძე ათავსებს კიდეც ბურთს კალათში, მაგრამ წამით აგვიანებს.

დამატებით დროს „დინამო“ უბეჟანიშვილოდ იწყებს — იგი ბოლო წუთებში გავარდა. ერთ-ორ წუთში კი მას სხიერელი, მაჭარაძე და კილაძეც მიჰყვნენ. მართალია, ამავე მიზეზით სდასუმაც დაჰკარგა დავითულიანი მაგრამ, დერიუგინს დარჩა ბურთი და მოედანი. აქ კოლია საბედისწერო შეცდომას უშვებს — შეტევაში ჯარიმდება (ამ მატჩში მეოთხედ), აპროტესტებს მსაჯის გადაწყვეტილებას და მეხუთე პერსონალურს იღებს. მატჩის ბედიც აქ გადაწყდა. თუმცა აბრამიძე კვლავ მიუძღვის თანაგუნდელებს, მაგრამ უდერიუგინოდ და უდავითულიანოდ დარჩენილ გუნდს „დინამოს“ ძლევა აღარ შესწევს. „დინამო“ დაწინაურდა სერიაში 1:0 (საერთო ანგარიში ამ გუნდებისა წელს 3:2 გახდა „დინამოს“ სასარგებლოდ).

**ვითა — ქიმიკოსი 103:92**

**ვითა:** ტურაშვილი (3), დადიანი (15), ქარაბაკი (18), ნაცვლიშვილი (26), ბერუაშვილი (4); უსტიაშვილი (1), თორთლაძე (5), კობეშავიძე (2), ორმოცაძე (2), კოკოლიშვილი (10), ჩხეიძე (18), ტულუში
**ქიმიკოსი:** გაბისონია (14), კიკვიძე (16), გოგოლაძე (21), კეჭბმაძე (1), ბოისა (30); ნიკლაური (7), კოჭლამაზაშვილი (3)

პირველი ნახევარფინალური წყვილისგან განსხვავებით, აქ ყველაფერი გარკვეულია — გუნდები თავისი ხალისისთვისღა თუ თამაშობენ. „ვითას“ სასტარტო ხუთეულმა ძლიერად დაიწყო და ქარაბაკმა, ნაცვლიშვილმა და დადიანმა სწრაფად გაზარდეს სხვაობა 11 ქულამდე — 23:12. აქ მათ ამოსუნთქვის საშუალება მისცეს თავს და გაბისონიას, ბოისასა და კიკვიძის ზუსტი ტყორცნებით რუსთაველები ამ მატჩში ყველაზე ახლოს მივიდნენ ვითელებთან 23:26. მაგრამ შემოსულებმა უსტიაშვილმა, კოკოლიშვილმა და ჩხეიძემ სწრაფად გაზარდეს უპირატესობა და „ვითამ“ პირველი ტაიმი 20 ქულით მოიგო.

მეორე ტაიმში იყო კიკვიძის, გაბისონიას, ტურაშვილის, დადიანის და ჩხეიძის სამქულიანები, ნაცვლიშვილისა და თორთლაძის დიდებული გასვლები, წიკლაურის ჩინებული დრიბლინგი, ოღონდ არ იყო ინტრიგა. თუმცა ვლადიმერ ბოისასთვის შეიძლება ასე არც იყო: იგი თავის ოსტატობას დღევანდელი ქართული კალათბურთის ლიდერების ნაცვლიშვილის, ქარაბაკის, ჩხეიძის წინააღმდეგ სცდიდა და უკმაყოფილო, ალბათ, არ უნდა დარჩენილიყო. 30 ქულა მიითვალა.

**კოტე მგალობლიშვილი**

**იყიდება ან ქირავდება**
საცხოვრებელი სახლის I სართულზე 235 კვ.მ პრივატიზირებული ფართი ვიტრინებით, გამავალი გურამიშვილის გამზირზე. ჭერის სიმაღლე 4მ.
☎ 22 53 12

**მაღალეფექტური ფხვნილი**
**SHALLEM**
რომელიც დამზადებულია მხოლოდ საკვები პროდუქტებით, მკურნალობს სტომატიტს, ანგინას და ღრძილების ანთებას.
მკურნალობის ვადა 2-3 დღეა.
ფხვნილი ლიცენზირებულია.
დარეკეთ 37-06-53
იკითხეთ თამრიკო

**ბავშვთა კვება**
**Gerber**
ახალი სიცოცხლის უმშვენიერესი დასაწყისი
ამერიკული და მსოფლიო ბაზრის აღიარებული ლიდერის გერბერის პატარა ქილებში თქვენი შვილების გოლიათური ჯანმრთელობაა
☎ 39-47-83

კალათბურთი



# საუკეთესო ჯერ ნორჩებში...

1980 და მომდევნო წლებში დაბადებულთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე რუსთავის „ქიმიკოსის“ ყმაწვილმა ცენტრმა ვლადიმერ ბოისამ რამდენიმე პრიზი მოიპოვა და ტურნირის სიმბოლურ ნაკრებშიც მოხვდა. ნიჭიერ მოთამაშის წარმატება კალათბურთის სპეციალისტებს დიდად არ გაჰკვირვებიათ, გულშემატკივრებს კი ქართული კალათბურთის იმედად მიჩნეულმა ახალბედამ ცნობისწადილი გაუღვიძა. ვლადიმერ ბოისა ჯერ 15 წლისაა — 1981 წლის 4 ივლისს დაბადებული. მისი სიმაღლე 203 სანტიმეტრია, არის საქართველოს 1980 და მომდევნო წლებში, 1981 წლამდე და შემდეგ დაბადებულთა საქართველოს ნაკრებების ლიდერი. როგორც მოზრდილთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი ბესიკ ლიპარტელიანი ამბობს, ახლო მომავალში იგი მოზრდილთა ნაკრებშიც ითამაშებს. ბოისას თავისი სიმაღლისთვის ჩინებული დრიბლინგი აქვს, ზუსტი შორეული ტყორცნა, ფარზე ხომ საუცხოოდ თამაშობს. ჩვენ შევხვდით ტალინიდან ჩამოსულ ვოვას და რამდენიმე კითხვით მივმართეთ. რა თქმა უნდა, თარჯიმანი არ დაგვჭირვებია, იგი ხომ ძველი რუსთაველი ოჯახიდანაა.

**— წარმოშობით სადაური ხარ?**

— უკრაინელი.

**— სპორტს მისდევდნენ ოჯახში?**

— მამაჩემი საკმაოდ ცნობილი ფრენბურთელი იყო, საქართველოს ნაკრების წევრი. მე კალათბურთი ვამჯობინე.

**— ტალინის ტურნირზე რას იტყვი?**

— მართალია, ამდენი პრიზი მივიღე, მაგრამ გული მწყდება — ფინელებთან რამდენიმე ჯარიმა ზუსტად რომ შემესრულებინა, გავიმარჯვებდით.

**— ფინელებმა პირველი ადგილი დაიკავეს, ასეთი ძლიერი გუნდი იყო?**

— არა, დიდი არაფერი. ყველაზე ძლიერი რუსეთის გუნდი იყო. თავად განსაჯეთ: ფინეთთან 4 ქულით წავაგეთ, რუსეთთან — 35-ით. ფინელებს რუსებთან გაუმართლათ, ასეც ხდება სპორტში.

**— წელს რა გეგმები გაქვს?**

— ტალინში ჩემზე უფროს თანაგუნდელებთან ვიყავი, ჩემი ასაკის კალათბურთელთა ნაკრები კი, როგორც იცით, ევროპის ჩემპიონატის ფინალში გავიდა. ივლისში 1981 და მომდევნო წლებში დაბადებულთა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში ვითამაშებ, აგვისტოში კი — 1980 წელს და შემდეგ დაბადებულთა შესარჩევ ტურნირში, რომლის საგზური ტალინში მოვიპოვეთ. მოკლედ, საინტერესო წელი მელის.

**ილია მხეიძე**


## გინდათ, სამ თვეში უცხო ენას დაეუფლოთ?

ERC

მოაკითხეთ, „ელიტა-სკ“-ს. თქვენ აქ შეგიძლიათ ინგლისური, გერმანული, ფრანგული, იტალიური, ესპანური, თურქული, არაბული, რუსული და ქართული (უცხოელთათვის) ენების სწავლა. ჯგუფებში 5-5 სტუდენტია და მეცადინეობები ყოველდღე ტარდება, შაბათ-კვირის გარდა, სტუდენტისათვის ხასურველ ადგილზე და მისაღებ დროში.

გინდათ ერთ თვეში პერსონალურ კომპიუტერზე მუშაობა ისწავლით? მოაკითხეთ „ელიტა-სკ“-ს.

„ელიტა-სკ“-ში შეიძენთ ლიტერატურას, კომპაქტ-დისკებს, აუდიო კასეტებს, რომლებიც ენის შესწავლაში დაგეხმარებიან.

მოაკითხეთ „ელიტა-სკ“-ს ოფისს მეტრო დელისთან, ვაჟა-ფშაველას 44-ში, ან დარეკეთ 39-87-25


ძიუდო

# გორში ძიუდოს მახრჩობელას უკეთებენ

გუშინ და გუშინწინ დიღმის სპორტსკოლაში გაიმართა საქართველოს ახალგაზრდული ჩემპიონატი ძიუდოში. შეჯიბრებაში 1977 და მომდევნო წლებში დაბადებულები ასპარეზობდნენ. სწორედ მათ უნდა შეალონ ზეგ საქართველოს ეროვნული გუნდის კარი და ზოგიერთმა მომავალი ოლიმპიადაც ამოიღოს მიზანში. მონაწილენი საკმაოდ იყვნენ, მაგრამ გასაკვირი ის გახდა, რომ პირველ დღეს არცერთ გორელ ფალავანს არ უასპარეზია. დარბაზში მხოლოდ საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გივი ზაუტაშვილი გამოჩნდა და ბრძანა, ხელმძღვანელობამ ფული არ მოგვცა და დღეს ვერავინ წამოვიყვანე. ეგებ ხვალისთვის გავაზერხო რამეო. ცხადია, ფული არც „ხვალ“ გამოჩნდა და ბატონმა გივიმ ნაცნობ-ახლობლების ავტომანქანებით ჩამოიყვანა ათი მოჭიდავე. ეს სირცხვილი კი არა, უკვე კატასტროფაა. გორში ფეხბურთს რომ არ სწყალობდნენ, ვიცოდით და „სარბიელშიც“ არაერთხელ გაუწყეთ, ხოლო თუ ძიუდოსაც მოიძულებდნენ, ალარაფრით გვეგონა. ეს რომ რომელიმე სხვა რაიონს ეხებოდეს, კიდევ აიტანდა კაცი, მაგრამ გორში ძიუდოს ჩაკვლა ყველა დაგვეთანხმება, დიდი უბედურებაა. გეგონება, ჩოჩიშვილი, ხუბულური, კურტანიძე, ძმები თენაძეები, ვაზაგაშვილი და კიდევ მრავალი სახელოვანი ფალავანი ამ რაიონში არ აღზრდილიყვნენ...

ამ შეჯიბრებაზე შედგა მსოფლიოს ჩემპიონის ამირან ტოტიკაშვილის, როგორც საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის დებიუტი. ამ 28 წლის კაცმა წინა კვირაში ბირმინგემში წარმატებით ჩააბარა აუცილებელი გამოცდები, საერთაშორისო კატეგორია დაიმსახურა და ჩამოსვლის მეორე დღეს უკვე დიღმის ტატამზე იდგა და მსაჯობდა.

იმასაც მოგახსენებთ, რომ ახალგაზრდული ასაკი საქართველოში ყველაზე დაჩაგრულია. მაგალითისთვის თუნდაც ის იკმარებს, რომ ამ ასაკისებს უფულობის გამო სამი წელიწადია, ევროპის ჩემპიონატებში არ მიუღიათ მონაწილეობა. წლეულს ამის საშუალება გაჩნდა და ჩვენებიც ნოემბერში წავლენ სლოვენიაში კონტინენტის თანატოლთა პირველობაზე. იმ შეჯიბრებისთვის მზადება კი ქვეყნის ჩემპიონატიდან დაიწყო.

რამდენიმე ახალგაზრდა ეროვნული გუნდის წევრია და მათ აკი ბადალი არ ჰყოლიათ ამ შეჯიბრში. ლევან სულხანიშვილმა (71 კგ) ისე ჩაატარა შერკინებები, მეორე ფინალისტის გარდა წინააღმდეგობა ვერავინ გაუწია. ლევანმა ტურნირის ყველაზე ტექნიკური მოჭიდავის პრიზი დაისაკუთრა. მთავარი კი ის გახლავთ, რომ ამ ნიჭიერმა ყმაწვილმა საბოლოოდ სძლია ტრავმებსა და ავადმყოფობათა სერიას. რომელსაც 18 წლისას კინაღამ ძიუდოსთვის თავი მიანებებინეს.

კონკურენციის გარეშე იყო გია გუგავაც (95 კგ), რაც არავის გაკვირვებია. ბიჭს ევროპის კაცთა ტურნირებზე ბარე ორიც ვერ უძლებს და თვისტომ თანატოლთა პირველობაში ვინ აჯობებდა? კარგი შთაბეჭდილება დატოვა 16 წლის ლაშა სარდანაშვილმა, რომელიც არ შეეპუა ასაკით უფროსებს და ოქროს მედალიც თვალწინ ააცალა.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელის ჯემალ ნათელაშვილის აზრით: „შეჯიბრების დონე ნორმალური იყო. უკვე გამოიკვეთა ის ბირთვი, რომელიც ევროპის ჩემპიონატისთვის მოემზადება. ზოგიერთ წონაში, მაგალითად, 71-სა და 95-ში, გასარკვევი აღარაფერია, თუ, რა თქმა უნდა, სასწაული არ მოხდა. ისიც მესიამოვნა, რომ ზოგიერთმა ძიუდოისტმა, რომელთაც თითქოს ფარ-ხმალი ჰქონდათ დაყრილი, შეძლეს ძალების მოკრება და ისე იჭიდავეს, როგორც მათ შესაძლებლობებს შეეფერება“.

ნათელაშვილის აღზრდილის, საქართველოს ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელის, ოლიმპიური ჩემპიონის შოთა ხაბარელის კომენტარი ამგვარი იყო: „მართალი გითხრათ, არ ველოდი, ამდენი დახვეწილი შერკინების მოწმე თუ გავხდებოდი. თამამად ვამბობ, რომ კარგი ცვლა მოდის და იმაზე ფიქრის საშუალებაც გამიჩნდა, ვისზე გავაკეთო აქცენტი“.

გუშინ კი საქართველოს ეროვნულმა გუნდმა თბილისში, ვაკის ძიუდოს დარბაზის გუშინვე გახსნილ სასტუმროში ევროპის ჩემპიონატისთვის მზადების დასკვნითი შეკრება დაიწყო.

**60 კგ:** 1. ლაშა სარდანაშვილი (თბილისი), 2. დავით ბარათაშვილი (ხაშური), 3. მამუკა მათიაშვილი (საგარეჯო) და ხვიჩა კავთიაშვილი (გარდაბანი)

**65 კგ:** 1. ლევან ჭიაბერაშვილი (საგარეჯო), 2. ფირუზ ტყეშელაშვილი (ქუთაისი), 3. თემურ გივიაშვილი (თბილისი) და ვასილ მერაბიშვილი (ქუთაისი)

**71 კგ:** 1. ლევან სულხანიშვილი (თბილისი), 2. გიორგი ნადირაშვილი (თბილისი), 3. გელა კუჭავა (ფოთი) და ლაშა სულიკაშვილი (საგარეჯო)

**78 კგ:** 1. გოჩა ბერაძე (თბილისი), 2. დავით ნადარაია (თბილისი), 3. იაგო ჯავახიშვილი (გარდაბანი) და მალხაზ პაპაშვილი (დუშეთი)

**86 კგ:** 1. გელა ჭურჭელაური (თბილისი), 2. ავთანდილ ზვიადაური (ახმეტა), 3. ზაზა გულბიანი (თბილისი) და ზვიად კურტანიძე (გორი)

**95 კგ:** 1. გია გუგავა (თბილისი), 2. ზურაბ ასლანიკაშვილი (ქუთაისი), 3. ირაკლი რომელაშვილი (გორი)

**მძიმე:** 1. ვასილ ლექვინაძე (ქუთაისი), 2. ბექა ონიაშვილი (ახმეტა), 3. ალექსი კიკოლაშვილი (გორი) და მიხეილ ჩხეიძე (თბილისი)

ჰოკეი

## NHL. სტენლის თასი

მორიგმა მატჩებმა წყვილთა შორის გამარჯვებულნი, ფაქტობრივად, უკვე გამოავლინეს.

### პიტსბურგი 0-3 ფილადელფია

**პიტსბურგი — ფილადელფია 3:5. შაიბები: იაგრი — 2, ჯონსონი; რენბერგი, ფალუნი, ლინდროსი, ლეკლერი, ზუბრუსი.**

პიტსბურგის თავკაცების მცდელობამ და მთელი წლის განმავლობაში საკადრო პოლიტიკაში აქტიურობამ ნაყოფი ვერ გამოიღო და ამიტომ იყო, შესაფერისი პარტნიორების გარეშე დარჩენილი ლემიეს სამეული მარტო რომ შეეჭიდა მრისხანე ფილადელფიას. თუმცა, ამ მატჩში „პინგვინები“ იაგრის ორი შაიბის (სულ — 4) წყალობით კარგა ხანს წინ იყვნენ, „მფრინავებმა“ მაინც აჯობეს მეტოქეს და ის, რომ სტუმრებს პირველ პერიოდში არ გაუმართლათ, უფრო უიღბლობის ბრალია, რადგან 28-ჯერ (!) შეუტიეს (საკლუბო რეკორდი) მასპინძელთა კარს. კვლავ გამოირჩა ფილადელფიის ეგრეთ წოდებული „დუმის“ ლეგიონი — ლინდროსმა 2 (1+1) ქულა დააგროვა, ისევე, როგორც ლეკლერმა, რენბერგმა კი 3 (1+2) მიითვალა. უნდა ითქვას, რომ ლემიეს ყოფნაში „პინგვინები“ პირველად აგებენ სერიას ასე სამარცხვინოდ.

### ოტავა 1-2 ბუფალო

**ოტავა — ბუფალო 2:3. შაიბები: ყოლტოკი, იაშინი; ბარიჯი, შენონი, უორდი.**

მატჩის დამთავრებამდე მხოლოდ 20 წამი რჩებოდა, როდესაც სტუმრებმა სწრაფი კონტრიერიში განახორციელეს და „სენატორთა“ კართან შექმნილი ზედახორის შემდეგ უორდმა შაიბა ბადეში ააფართხალა. ამან ოვერტაიმის მომლოდინე ოტაველი მაყურებელი გააოგნა, არადა, მატჩის მსვლელობისას იყო მომენტი, როდესაც მასპინძელთა მოგება გარდაუვალი ჩანდა: მეორე პერიოდში ბუფალოელი ბარიჯის შაიბის შემდეგ ოტავამ უფრო მწვავედ შეუტია და გაათანაბრა, რასაც ბუფალოს გოლკიპერს ჰაშეკის ტრავმაც მოჰყვა (მან, შესაძლოა, ველარც ითამაშოს სერია). მოედანზე ახალბედა შილდსი გამოჩნდა, რომელიც მთელი სეზონის განმავლობაში არაფრით გამორჩეულა — მის ყოფნაში „სეიბრზმა“ მხოლოდ 3-ჯერ მოიგო და 11-ჯერ წააგო. როდესაც ოტაველთა ლიდერმა იაშინმა თავისიანები დააწინაურა, მასპინძელ ქომაგთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, მაგრამ ბუფალომ შეძლო ანგარიშის გათანაბრება, უორდის გოლზე კი, ასე რომ დაალონა ოტაველი გულშემატკივრები, უკვე მოგახსენეთ. ჯერჯერობით ეს სერია ყველაზე დაძაბულია და გამარჯვებულის გამოვლენას ალბათ, 7 მატჩი დასჭირდება.

### მონრეალი 0:3 ნიუ ჯერზი

**მონრეალი — ნიუ ჯერზი 4:6. შაიბები: რექი — 2, თორნტონი, კოივუელიაში; ჰოლიკი, ზელეპუკინი — 3, როლსტონი.**

ნიუ ჯერზის ევროპელმა ლეგიონერებმა ლომის წილი დადეს თავისი გუნდის ზედიზედ მესამე გამარჯვებაში და, ფაქტობრივად, გადაწყვიტეს სერიის ბედი. რუსმა ზელეპუკინმა თავის კარიერაში პირველი ჰეთ-თრიქი შეასრულა, ჩეხებმა ელიაშმა და ჰოლიკმა კი 2 (1+1) ქულა დააგროვეს. უნდა ითქვას, რომ ეს მონრეალის საუკეთესო მატჩი იყო ამ სერიაში. ამ შეხვედრაში კანადელები სამჯერ იყვნენ მდევრის როლში, 23-ე წუთზე რექის დარტყმის შემდეგ კი პირველად დაწინაურდნენ, მაგრამ ახლა ზელეპუკინის ჯერი დადგა: სამი წუთის განმავლობაში რუსმა ორი გოლით დააწინაურა თავისიანები, 45-ე წუთზე კოივუს გატანილს კი რიცხვმრავლობაში შეგდებული გამარჯვების შაიბით უპასუხა. აღსანიშნავია, რომ „ეშმაკებმა“ კვლავ კარგად ისარგებლეს რიცხვმრავლობით (ამჯერად — ორჯერ), მათმა მეტოქემ კი სამ შეხვედრაში ვერცერთხელ გამოიყენა ეს უპირატესობა.

მატჩის ბოლო შაიბა როლსტონმა შეაგდო (ეს მისი მეორე გოლია უმცირესობაში) და ნიუ ჯერზის სათასო სერია 9 მოგებამდე გაზარდა, კანადელები კი პირველად 45 წუთის განმვლობაში „მშრალად“ აგებენ სერიას.

### რეინჯერზი 2-1 ფლორიდა

**რეინჯერზი — ფლორიდა 4:3. შაიბები: ისტვუდი, რობიტაილი — 2, ტიკანენი; გარპენლოვი, შეპარდი, შველა**

ორი მატჩის შემდეგ, როდესაც [illegible] უპირატესობა ან ერთის ან მეორის მხარეს იყო, მაყურებელმა, როგორც იქნა, დაძაბული პაექრობა იხილა. თავიდან უფრო აქტიურნი მასპინძლები იყვნენ, რაც ორ უპასუხო გოლშიც გამოიხატა. მეორე პერიოდი კი „პანტერებისა“ იყო — ისევე, როგორც პირველ მატჩში მათ ზედიზედ სამი შაიბა გაახერხეს, რომელთაგან ორი სლოვაკმა შვეჰლამ (1+1) მოაწყო. როგორც ყოველთვის, დაწინაურებისთანავე ფლორიდა თავის დაცვას შეუდგა და ძალზე ახლოს იყო გამარჯვებასთან, მაგრამ ძირითადი დროის დამთავრებამდე ოცი წამით ადრე ნიუიორკელებმა, რომელთა კარი ამ დროისთვის ცარიელი იყო, გაათანაბრეს. ოვერტაიმში ორი გოლი გავიდა, მაგრამ თუ ფლორიდელი მელანსის შაიბა არბიტრმა გააუქმა, გამოცდილი „რეინჯერზის“ ტიკანენის გოლი ბევრი დავისა და გარჩევ-გამორჩევის შემდეგ ჩათვალა. საინტერესოა, რომ ტიკანენი „რეინჯერზში“ გადმოსვლის შემდეგ ჩემპიონატში ერთადერთხელ გამოირჩა, ფლეი-ოფში კი — უკვე მეორედ. ეს ვეტერანის 62-ე სათასო გოლია.

**ფინიქსი — ანაჰაიმი 2:0. შაიბები: კორკუმი, ნუმინენი**

ორივე გუნდმა საშინაო მატჩები მოიგო და, ფაქტობრივად, სერიაში ბრძოლა თავიდან დაიწყო. ისევე, როგორც ნიუ იორკში, აქაც ერთი გოლი გაუქმდა: ორი უშელავათო, მაგრამ უშედეგო პერიოდის შემდეგ ანაჰაიმელმა რუჩინმა, როგორც იქნა, აილო ფინიქსის კარი, არჩათვლილი გოლიდან რამდენიმე წამში კი „იხვებმა“ საპასუხო დარტყმა მიიღეს — ნუმინენმა ცარიელ კარში გადამწყვეტი შაიბა შეაგდო. ფინიქსელმა ხაბიბულინმა კლუბის ისტორიაში პირველი სათასო „მშრალი“ მატჩი ჩაიწერა და შეძლო სელიანესა და კარიას შეჩერება.

**ედმონტონი — დალასი 3:4. შაიბები: კოვალენკო, არნოტი, სმიტი; მოდანო, რეიდი, ჯილკრისტი, ლანგებრუნერი**

ორი უსიამოვნო მარცხის შემდეგ დალასმა გამარჯვება გამოგლიჯა მეტოქეს. თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში სტუმრები უკეთ გამოიყურებოდნენ და ჯილკრისტისა და ახალბედა ლანგებრუნერის შაიბის შემდეგ მასპინძლებმა, რომლებიც შინ მე-100 სათასო მატჩს ატარებდნენ, ისლა შესძლეს, რომ ანგარიში შეამცირეს.

**სენტ ლუისი — დეტროიტი 4:0. შაიბები: კურტნოლი — 2, დემიტრა, პრონგერი**

სახელგანთქმულმა სენტ ლუისელმა ფუურმა მეორე „მშრალი“ მატჩი ჩაატარა ამ სერიაში და მე-80 სათასო მოგება მიითვალა, რაც ლიგის მესამე შედეგია (ამდენივე ლეგენდარული დრაიდენის ანგარიშზეა). „ბლუზმენების“ ძირითადი მეპასის — ტარჯონის ნაცვლად მოთამაშე სლოვაკი დემიტრა ჰალს და კურტნოლს შეეწყვილა და სწორედ ეს ახალი ტრიო გახდა მასპინძელთა გამარჯვების სულისჩამდგმელი: კურტნოლმა 2 გოლი გაიტანა, დემიტრამ 1 გოლი და 2 პასი მიითვალა, ჰალმა კი 3 გადაცემა გაახერხა. დეტროიტმა ცუდად როლი ითამაშა, მაგრამ კვლავ გოლკიპერმა ვერნონმა უმტყუნა, რომელიც მომდევნო შეხვედრაში პარტნიორს დაუთმობს ადგილს.

**ჩიკაგო — კოლორადო 6:3. შაიბები: ამონტე — 2, მორო, პრობერი — 2, დუბინსკი; ჯოუნზი, საკიკი, მილერი**

წინა მატჩის ოვერტაიმში რუსი კრივოკრასის მიერ გატანილმა ულამაზესმა შაიბამ პარტნიორებს ფრთები შეასხა და ბრწყინვალე მეორე პერიოდის წყალობით, როდესაც „ქორებმა“ ოთხი უპასუხო შაიბა შეაგდეს, ჩიკაგომ გაათანაბრა ანგარიში სერიაში. ყველაზე საოცარი ის არის, რომ ორივე წაგებულ მატჩში კოლორადო მეტოქეზე უკეთ გამოიყურებოდა, მაგრამ შედეგზე ეს არ აისახა.

ბომბარდირები: ლინდროსი (ფილადელფია) 7 (2-5), ჰალი (სენტ ლუისი) 7 (1-6),დენიო (ანაჰაიმი) და უეიტი (ედმონტონი) 6 (2-4), საკიკი (კოლორადო) 6 (1+5), რონინგი (ფინიქსი) 6 (0+6), იარგი (პიტსბურგი) 5 (4+1)

სნაიპერი: იაგრი — 4

**სამველ ლარიბიანი**




ბუფალოელმა ჰაშეკმა ტრავმის შემდეგ თავისი გუნდი „ობლად“ დატოვა




ეროვნული ბიბლიოთეკა





# აპრუწუწუნ, არიფო კავკასიელებო!

ქართველ სპორტსმენებს მარცხის გასამართლებელი მიზეზი არ გამოელევათ ხოლმე: ხან ვითომც მხოლოდ მათ აწვიმდათ, მეტოქე კი ქოლგებით ეთამაშათ; ხან ხეირიანი კიმონო ვერ ეცვათ, სასწორი კი ცხრაკლიტულში იყო გამოკეტილი; ხანაც პაიკს დაფაზე ფეხი დაუცდა, საათთან მოკალათებულმა ანგარიშის დამთვლელმა კი ერთბაშად 20 ქულა ჩამოაკლოთ. აღარას ვამბობთ გაუთავებელ ფალარათებზე და აკლიმატიზაციის პრობლემებზე.

ქართველმა მორაგბეებმა შაბათს პორტუგალებთან რომ წააგეს, ქვეყნის სპორტულმა თემმა კი ფრანგი მსაჯის საარაკო მიკერძოებაზე ლეგენდები შეთხზა, ერთი პირობა ვიფიქრეთ, ვაჟკაცი მორაგბეებსაც ხომ არ გადაედებიათ სხვა, უფრო პატივდებულ სახეობათა ხელმოცარულ მიმდევართა სენიო. მაგრამ, აი, შინ დაბრუნდნენ გულნატკენი ბორჯღალოსნები, რაგბის კავშირის გენერალურმა მდივანმა გია კუბლაშვილმა ციმ-ციმ გადაცემა მოამზადა „II არხისთვის“ და ყველაფერს ნათელი მოეფინა: თუ სამართალი იყო, არ უნდა წაგვეგო!

სამართალი იმ შეჯიბრში, რომელშიც ჩვენი ბიჭები მონაწილეობენ, საუბედუროდ, ძნელი საშოვარია. ფირა, ინგლისურად მეტყველი სარაგბო ქვეყნების მედიდურობის ხანაში ამათი ირბ-ის ალტერნატივად რომ ჩაისახა, დღესდღეობით ყავლგასული გაერთიანებაა. რაც ირბ-მა დანარჩენ მსოფლიოს მოწყალედ დაუწყო ცქერა, დააწესა მსოფლიო თასი და საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს (სოკ) თავი რაგბის მსოფლიო განმრიგედ აღიარებინა, ფირა-ს არსებობას აზრი დაეკარგა. გაისიდან იგი უქმდება, მის ნაცვლად კი ირბ-ის რეგიონული ფრთა — ევროპის ასოციაცია შეიქმნება.

ფრანგების მიერ შექმნილი და ნალოლიავები ფირა დღესაც ლათინთა ბუდე და საბრძანებელია. ძალაუფლება ხელიდან რომ ეცლებათ, ლათინები ცდას არ აკლებენ, რათა ფირა-ს არსებობით უკანასკნელადაც მაქსიმალურად იხეირონ. ამათში მათ ის ეხმარებათ, რომ ფირა-ს ამჟამინდელი, ბოლო პირველობა იმავდროულად 1999 წლის მსოფლიო თასის შესარჩევის წინა — საკლასიფიკაციო შეჯიბრიცაა, მისი სისტემა კი ესპანელ ბასკ ხოსე-მარია ეპალსას ისე მოუგონია, რომ საჩემპიონო ფინალში ერთმა ლათინმა — ესპანეთმა მეორეს — პორტუგალიას უმასპინძლოს, და ორივენიც სამსოფლიოთასოდ იოლ ჯგუფში მოხვდნენ.

ერთი სიტყვით, ფირა-ს ვეტერან წევრებს გრანდიოზული გეგმები დაუსახავთ და ძმა-ბიჭობისა და სისხლით ნათესაობის იმედად არიან. ამ დროს გამომხტარა ვილაც არიფი, ცინგლიანი, მატრაკვეცა, თანაც ევროპული საზომით ქაჯი, შორეულ-კავკასიელი; ლათინთა სასარგებლოდ ამათი მთავარი მეტოქე რუსეთიც უძლევია, ახლა კი ფინალში გასვლაც მონდომებია.

აპრუწუწუნ! ხარჯს ჯანი გავარდეს, მით უფრო, თუ დედაქალაქის ორი ოტელის — „პენტასა“ და „ალტიშ პარკის“ პატრონი ხარ, შენს მიერვე დანიშნულ ნაკრების მთავარ მწვრთნელს კი შვიდკაცას ნაკრების წევრები მათივე მოძღვრის თამადობით ამბოხებიან, რაგბის კავშირის რჩეულს თანამედროვე რაგბისა არა გაეგება რაო. ძმაკაცს ხომ არ დაამხობინებ ვილაც ლაწირაკებს, ანაც ამოტოლა რაგბის მამა, ფირა-ს მოწინავე მაფიოზო თავად ხომ არ გადადგები!

რაგბის კლუბი „ყოჩები“ აცხადებს 1987-88 წლებში დაბადებული ბიჭების მიღებას.



მწვრთნელ ნუგზარ მალალურაძეს მომავალი მობურთალეებითურთ მიაკითხეთ ორშაბათს, ოთხშაბათს ან პარასკევს, დღის 5 საათიდან, ვაკის სტადიონის ტაბლოსთან.

უთუოდ ასე იფიქრა პორტუგალიის რაგბის კავშირის პრეზიდენტმა რაულ მარტინშმა და მსაჯი სათანადოდ დაამუშავა. ამასაც ბევრი რა უნდოდა: ცნობილი ამბავია, რომ ფრანგი მსაჯები მეტწილად პროლეტარები, თითქმის უკლებლივ კი — სარაგბო მეძავეები არიან: თამაშს ისე წარმართავენ, რომ ზელანდიის „ოლ ბლექსს“ იაპონიასთან წააგებინებენ.

ბრძენმა მსაჯმა ყველაფერი გათვალა: წინ ბევრით არ გაგვიშვა, ექსპრომტად ახალი წესები გამოიგონა და უამრავი იერიში ჩაგვიშალა, მაგრამ ერთი რამ — ჩვენების კადნიერება მაინც ვერ გაითვალისწინა! თამაში რომ წააგებინეს, ქართველებმა გაიხსენეს ნოვოკუზნეცკურ-ლვოვურ-დნეპროპეტროვსკული და ევროპელი მსაჯიც მითეთქვეს. პლასტმასის ბოთლებიან მაყურებლებსაც კი არ შეეპუენ და ლამის იყო ტრიბუნაზე აუვარდნენ.

საშური საქმე გაკეთდა. ჩვენი ნაკრების თამაშის განსასჯელად მივლენილ ფრანგ არბიტრებს ამიერიდან ეცოდინებათ, თუ ვისთანა აქვთ საქმე და იმედია, ჭკუით მოიქცევიან. აი, მერაბ ბესელია კი ცოდოზე ცოდოა — ბიჭი დიდ რაგბში შარშან დაბრუნდა და რუსებთან ისტორიული რეიდიც განახორციელა, ახლა კი სამუდამო დისკვალიფიკაცია ალბათ ვერ აცდება.

19. 04. ლისაბონი. უნივერსიტეტის სტადიონი

**პორტუგალია 21:17 საქართველო**

მსაჯი ალენ ფერნანდესი (საფრანგეთი)
პორტუგალია — 2ლ: პირეში (პპპ) (8:3), ამარალი (21:17); გ (10:3) და 3ს (3:0, 13:14, 16:17): მურანი
საქართველო: იურინი; ბესელია, ძონენიძე, ჩიქვინიძე (ალანია), ქავთარაშვილი; მაჩიტიძე, მოდებაძე (ჯანელიძე); — მთიულიშვილი (ჯაფარაშვილი), ობოლაძე (პპპ), რეხვიაშვილი (ფირცხალავა); რაფავა, ნადირაძე; ლეუავა (მაჭუტაძე), ლაბაძე, კობახიძე (გიუნაშვილი). — ლ: ნადირაძე (10:8); 3ს: მოდებაძე (3:3, 10:11, 13:17); ა: მაჩიტიძე (10:14)

საბჭოურ ასპარეზზე მრავლის მნახველმა, მაგრამ ლათინური სიმუხთლის უმეცარმა ქართველმა რაგბის მამებმა ლისაბონის მატჩისთვის ბიჭებს დიდი ამოცანა დაუსახეს. ფირა-ს ჩემპიონები თუ გავხდებით, ქვეყანაში რაგბის ბუმი ატყდება და ხელისუფლებასაც ველარაფერი დაუდგება წინ, ვაკის სტადიონი ერთხელ და სამუდამოდ რომ დაგვიდგინოს ასპარეზადო. ნაკრების მოსამზადებლადაც დიდძალი ფული დაიხარჯა: მოეწყო სამი შეკრება (ორი — უცხოეთში), ორიც ტურნე. ბიჭებიც დაიძაბნენ, მეტისმეტი პასუხისმგებლობით დაიწვნენ და პორტუგალებთან შებოჭილებმა ითამაშეს, თუმც კი მეტოქეს მაინც ძალიან აჯობეს და უნდა მოეგოთ.

წავაგეთ, მაგრამ სწორედ ამაზე თქმულა, ზოგი ჭირი მარგებელიაო. III ადგილის მოსაპოვებლად და კამფეტივით შესარჩევ ჯგუფში (რუმინეთი, საქართველო, ბელგია, ჩეხეთი, და კიდევ შვედეთი, ხორვატია ან უკრაინა; გადის ორი გუნდი) მოსახვედრად 10 მაისს პოლონეთი უნდა ვძლიოთ. რა თქმა უნდა, ეს თამაში შინ გვერჩია და წეს-კანონით კიდეც გვეკუთნოდა, მაგრამ მაქსიმალისტმა ქართველმა რაგბის მამებმა ფირა-ში საყოველთაო წილისყრა დაიჟინეს და მწარედაც შეცდნენ, რის გამოც ახლა ისევ ჩვენი ბიჭების უტეხობის, ოსტატობისა და კიდევ იმის იმედად უნდა ვიყოთ, რომ ფრანგთა და პოლონელთა კათოლიკური ერთობა ტომით ლათინთა ძმობასავით მტკიცე ვერაა.

## ტელევიზია

### საქართველოს დროით!

**EUROSPORT**

დღეს, ხუთშაბათს, 24 აპრილს

11.30 ავტოჟურნალი „ძრავები“; 12.30 სამოტოციკლო ჟურნალი „თვლები“; 13.00 მოტოკროსის ჟურნალი „ქიქ“; 13.30 ჩოგბურთი: მონტე-კარლოს ღია პირველობა. IV დღე (პ); 21.00 ავტორბოლა: მსუბუქი მანქანები. სეზონის წარდგენა; 22.00 სუმო: ბაშოს ტურნირი. ოსაკადან (იაპონია); 23.00 „მსოფლიოს უღონიერესი კაცი“; 24.00 მძლეოსნობა: ყატარის საერთაშორისო ტურნირი. დოჰადან; 1.00 ჩოგბურთი: მონტე-კარლო (რ); 1.30 ფეხბურთი: თასების თასის საპასუხო ნახევარფინალი. ფიორენტინა — ბარსელონა; 3.00 კალათბურთი: ვაჟთა ევრო-ლიგის ფინალური ოთხეული. ფინალი. რომიდან (4.30-მდე)

ხვალ, პარასკევს, 25 აპრილს

11.30 საავროსნო ჟურნალი; 12.00 ფაეტონების რბოლა. ფლორიდიდან; 12.30 მსოფლიო ავტოსპორტის ჟურნალი; 13.30 ჩოგბურთი: მონტე-კარლო. V დღე (პ); 22.00 ფეხბურთი: ნუხანდელი თასების თასი (რ); 23.30 ყინულის ჰოკეი: მსოფლიო ჩემპიონატის წარდგენა; 24.00 ავტორბოლა: მსუბუქი მანქანები. ბერსიდან (პარიზი); 1.00 ჟურნალი „უგზოობა“; 2.00 ჩოგბურთი: მონტე-კარლო (რ); 2.30 სუმო (-); 3.00 ფეხბურთი: მსოფლიო პირველობების ლეგენდები; 4.00 ყინულის ჰოკეი (-)

დღეს, ხუთშაბათს, 24 აპრილს

6.30 კრიკეტი: იკპ-ის თასი. ნახევარფინალი. ბანგლადეში — შოტლანდია. კუალა-ლუმპურიდან; 12.30 მიდას თასი; 14.00 წყალქვეშ მარდობის სამყარო; 15.00 გოლფი: ომეგას ტური. გუამის ღია პირველობა (რ); 16.00 რესლინგი; 17.00 ფეხბურთი: ესპანეთის ლიგა (მ); 17.30 კრიკეტი: იკპ-ის თასი. III ადგილის მატჩი. შოტლანდია — ირლანდია; 23.30 ფეხბურთი: ესპანეთი (-); 24.00 გოლფი: აშშ-ის პროფ-ტური. ემ-სი-აის კლასიკური. III დღე; 2.00 რესლინგი; 3.00 მსოფლიო სპორტი (მ); 4.00 გოლფი: გუამი (-); 5.00 კალათბურთი: ფილიპინების ასოციაციის კვირის რჩეული მატჩი

ხვალ, პარასკევს, 25 აპრილს

6.30 კრიკეტი. იკპ-ის თასი. III ადგილი (-); 12.30 გოლფი: ევროპის პროფ-ტური. კანის ღია პირველობა (რ); 13.30 ფეხბურთი: ესპანეთი (-); 14.00 გოლფი: ემ-სი-აის კლასიკური (-); 16.00 რესლინგი; 17.00 კალათბურთი: ნბა (მ); 17.30 კრიკეტი: იკპ-ის თასის ფინალი. კენია — ბანგლადეში; 23.30 ნბა (-); 24.00 გოლფი: ემ-სი-აი. ბოლო დღე; 2.00 რესლინგი; 3.00 წყალქვეშ მარდობის სამყარო; 4.00 ცხენოსნობა: ვოლვოს მსოფლიო თასი; 5.00 რესლინგი; 6.00 სქვოში: მსოფლიო ტური

ზეგ, შაბათს, 26 აპრილს, შუაღამემდე

6.30 კრიკეტი. იკპ-ის თასის ფინალი (-); 12.30 გოლფი: გუამი (-); 13.30 ნბა (-); 14.00 გოლფი: ემ-სი-აი (-); 16.00 ავტორბოლა: ფორმულა-1. სან-მარინოს დიდი პრიზი. კვალიფიკაცია; 17.00 გოლფი: პროფ-ტური (მ); 17.30 აზიური სპორტის სეირი; 18.00 კრიკეტის კვირეული (მ); 18.30 კრიკეტი: ვესტ-ინდოეთი — ინდოეთი. I თითოდღიანი. ტრინიდადიდან (პ) (2.30-მდე)

(-) იგივე; (მ) მიმოხილვა; (პ) პირდაპირ; (რ) რჩეული

## ჩოგბურთი



კატალონელმა ალბერტ კოსტამ კლასიფიკაციის მოწინავე ათეულში პირველი შესვლა იმით აღნიშნა, რომ ორშაბათს, ბარსელონის ტურნირის წვიმის გამო გადმოდებული ფინალის სამივე ხელში თითო ბრეიქი გაახერხა და 7:5, 6:4, 6:4 დაამარცხა თანამემამულე და სეხნია, გვარად პორტასი. (როიტერი)

# უკვე გავარდნენ

მონტე-კარლოში ორშაბათს გაჩაღდა ვაჟთა დიდი სათიხნარო ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდიც 2,3 მილიონი დოლარია და მოწინავე ათეულის ერთბაშად რვა წევრი მონაწილეობს.

პიტ სამპრასს (აშშ, 1) მტკივანი მაჯის გამო ჰონკონგისა და ტოკიოს ტურნირები გაუცდა, მონტე-კარლოში კი ვაილდ-ქარდი ითხოვა და კიდეც უბოძეს. პიტი პირველი წრეში თავისუფალი იყო, სამშაბათს კი 6:3, 2:6, 3:6 წააგო 43-ე ჩოგანთან, შვედ მაგნუს ლარსონთან.

სამპრასის მარცხი შემთხვევითი სულაც არაა. მონტე-კარლოს თიხაზე პიტს აქამდე ორჯერ უთამაშია და ორივეჯერ სტარტზევე გავარდნილა. რაც შეეხება ხისტ საფარს, მასზე იგივე ლარსონი სამპრასმა მარტში კი-ბისკეინში 6:2, 6:0 დაანგრია.

მოულოდნელი იყო თიხაზე თამაშის კარუზოს, ავსტრიელი თომას მუსტერის (2) მარცხი. თომასს 1993 წლიდან მოყოლებული თიხაზე საუცხოო ბალანსი — 113 მოგება და მხოლოდ 7 წაგება აქვს, ბარსელონასა და მონტე-კარლოში კი შარშანაც მოუგია და შარშანწინაც. ბარსელონაში მუსტერი ფრანგმა პიოლინმა გააგდო, მონტე-კარლოში კი თომასს კვლავ ფრანგმა, ამჯერად ფაბრის სანტორომ აგემა მარცხი 6:2, 7:6 (7-3).

გავარდა ბორის ბეკერიც (გერმანია, 9), ვისაც მაჯაც მოურჩა და თეძოც. ბორისს სამშაბათს 1:6, 6:3, 7:6 (7-4) მოუგო იტალიელმა რენცო ფურლანმა.

„სარბიელში“
რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ
95 26 90

## მარათონები

# გორაკი ვერც შეამჩნიეო

კვირათა შუასაქარზე ზედიზედ სამი მარათონი იყო. შაბათს ბელგრადში მეათედ გაიმართა გარბენი, კვირას მსოფლიოში უსწრაფესად ცნობილ ტრასაზე გაეჯიბრა ერთმანეთს ცნობილი ხალხი, ორშაბათს კი მარათონის ბობოლები თითქმის უკლებლივ შეგროვდნენ ბოსტონში, სადაც უძველესი შეჯიბრი 101-ედ გაიმართა.

ბელგრადში შეხუთული ამინდი იდგა. შეჯიბრს წონა შემატა დიდი მეჭოკის — უკრაინელი სერგეი ბუბკას სტუმრობამ. იგი კარგა ხანს ებაასა ბი-ბი-სის — შეკითხვებს ინგლისურადვე, თანაც ერთობ ლაკონურად და გამართულად პასუხობდა.

გაიმარჯვა კენიელმა ჯოზეფათ ნდეტიმ, რომლის ძმა კოსმასიც ბოსტონის სამგზის გამარჯვებულია. პირველ ადგილზე გასული რუსი ქალი თუმც ყირგიზეთის სახელით ასპარეზობს, მაგრამ ფლორიდაში კი ვარჯიშობს.

ვაჟები: 1. ნდეტი 2:13.37; 2. რებინ ჩებუტიჩი (კენია) 2:13.44; 3. ანესმას მუტისია (კენია) 2:14.02; 4. პიოტრ პაბლოცკი (პოლონეთი) 2:14.52

ქალები: 1. ირინა ბოგაჩოვა 2:34.56; 2. ელენა მაკოლოვა (რუსეთი) 2:36.45; 3. ადრიანა ბარბუ (რუმინეთი) 2:38.15; 4. სუზანა ჩირიჩი (იუგოსლავია) 2:38.25

როტერდამში ტრასა გამარტივდა. მდინარე მაასზე გადებული ვილემის ხიდის ნაცვლად მორბენლებს ერაზმის ნაკლებად ციცაბო ხიდზე მოუწიათ გადასვლა.

1988 წლის 17 აპრილს სწორედ აქ დაამყარა ოთხგზის გამარჯვებულმა ეთიოპმა ბელაინო დენსიმომ ჯერაც შეუვალი მსოფლიო მიღწევა 2:06.50. მან ამჯერადაც ირბინა, მაგრამ 15 კილომეტრის შემდეგ ჩამორჩა.

სირბილი ნელა წარიმართა. 12 დაწინაურებულიდან მეორე ნახევარში ხუთი ლიდერიღა დარჩა, მე-40 კილომეტრის შემდეგ კი გამარჯვებისთვის სამიღა იბრძოდა. 33 წლის პორტუგალმა დომინგუშ კაშტრუმ ბოლოს მაინც აჯობა ესპანელ ალეხანდრო გომესს, ცხოვრებაში პირველ მარათონს რომ დარბოდა. კაშტრუს შედეგი წელს საუკეთესოა.

ვაჟები: 1. კაშტრუ 2:07.51; 2. გომესი 2:07.54; 3. სემი კორირი (კენია) 2:08.02; 4. სემ ლოპუიე (კენია) 2:08.19; 5. აბებე მეკონენი (ეთიოპია) 2:08.46

ქალები: 1. თეგლა ლურუპე (კენია) 2:22.07; 2. მარლინ რენდერსი (ბელგია) 2:25.56; 3. მაკიკო იტო (იაპონია) 2:26.03

ბოსტონში მინიმალური საპრიზო ფონდი 500 ათასი დოლარი იყო. გამარჯვებულ ვაჟსა და ქალს 75-75 ათასი ერგებოდათ. გარდა ამისა, მსოფლიო მიღწევის გაუმჯობესება დამატებით 50 ათასს შეგძენდა, ტრასის რეკორდისა კი — 25 ათასს.

პრემია ვერავინ დაითრია. შარშანდელმა ჩემპიონებმა — პიპიგმა და ტანუიმ ვერ გაიმარჯვეს. ზედიზედ სამგზის ჩემპიონ პიპიგს ტრავმების გამო ბევრი გაუცდა, ამიტომ IV ადგილითაც კმაყოფილი დარჩა, ტანუიმ კი, შარშან ზედიზედ მეოთხედ გამარჯვება რომ აღარ დაანება III ადგილზე დარჩენილ ნდეტის, ფინიშს ამჯერად მეხუთემ უწია.

ვაჟთა შეჯიბრში კენიელებმა ისევ იმარჯვეს — ზედიზედ მეშვიდედ! 25 წლის აგუტა ბოლო ორი წელი IV ადგილზე გადიოდა, ამჯერად კი ბოლოსღა დაწინაურდა და ბრძანა, ამ გამარჯვებას მთელი ცხოვრება მოველოდიო. მან აჯობა ორ ცნობილ მექსიკელს — ლონდონში სამგზის (1994-96 წლებში) გამარჯვებულ დიონისიო სერონსა და ნიუ-იორკის ორგზის ჩემპიონ ხერმან სილვას. ბოსტონში ორივემ პირველად ირბინა.

ქალთაგან საუკეთესო 26 წლის ეთიოპი ოლიმპიური ჩემპიონი ფატუმა რობა აღმოჩნდა. მან ისე იოლად მოიგო, რომ 32-ე კილომეტრზე მდებარე ცნობილ გორაკზე — „ჰართბრეიქ ჰილზე“ თქვა, ისე გავირბინე, რომ არც შემიმჩნევსო.

ვაჟები: 1. ლემეკ აგუტა 2:10.34; 2. ჯოზეფ კამაუ (კენია) 2:10.46; 3. სერონი 2:10.59; 4. სილვა 2:11.21; 5. ტანუი 2:11.38; ... 27. კოსმას ნდეტი (კენია) 2:22.56

ქალები: 1. რობა 2:26.23; 2. ელანა მაიერი (სამხ. აფრიკა) 2:27.09; 3. კოლინ დერეკი (სამხ. აფრიკა) 2:28.03; 4. უტა პიპიგი (გერმანია) 2:28.51; 5. დერართუ თულუ (ეთიოპია) 2:30.28



რობას ოლიმპიადის მოგებისათვის ეთიოპიის გალლეტილმა მთავრობამ 7 ათასი დოლარი ძლივს უბოძა, ბოსტონში კი ქალმა ერთბაშად 75 ათასს გამოკრა ხელი (აპ)

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მექველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
მერაბ რატიშვილი

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მამუკა კვარაცხელია, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
ავთანდილ გურასაშვილი, ერეკლე კიკილაშვილი, ილია მხეიძე, ლევან ჯავახიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე

სტილისტი მაია აბზიანიძე

კომპიუტერული ცენტრი:
ინგა აკოფაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29